სამეცნიერო-პრაქტიკული ელექტრონული ჟურნალი

ბალანსებში

ივნისი №11

- ოფიციალური დოკუმენტები
- დაბეგვრის თეორია და მეთოდოლოგია
- დაბეგვრის პრაქტიკა
- ფინანსები, აღრიცხვა და აუდიტი
- ხელშეკრულებები საგადასახადო და საბაჟო კანონმდებლობაში კომენტარებით
- კითხვა-პასუხები

2018

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

ფინანსური და საქართველოს ინფორმაციის ცენტრი

გთავაზობთ:

- ბუღალტრული და საგადასახადო აღრიცხვა-ანგარიშგების სქემების დამუშავებას და ბუღალტრული და საგადასახადო აღრიცხვის აწყობას ახლადშექმნილ და მოქმედ კომპანიებში
- ბუღალტრული და საგადასახადო აღრიცხვა-ანგარიშგების წარმოებას ხელშეკრულებით
- კომპანიის საქმიანობის ფინანსურ ანალიზს და ფინანსური გაჯანსაღების ღონისძიებების დაგეგმვას
- ექსპორტ-იმპორტის საგადასახადო კონცეფციის შემუშავებას

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

gamomcemeli: Sps `biznes inteleqti~
Publisher: Business Intellect Ltd.

UDC (uak) 336.2+336.14(051.2)
g-145

referirebadi da recenzirebadi samecniero-praqtikuli el.Jurnali
`gadasaxadebi~
registrirebulia #04-06/65, 10.08.2009 / **Registred** #04-06/65, 10.08.2009
Referred and reviewed scientific & practical e.magazine `Gadasakhadebi~

mTavari redaqtori:
daviT jalaRonia,
sruli profesori
Chief Editor:
David Jalaghonia, Full Professor

pasuxismgebeli mdivani
marine xubua, asocirebuli profesori
Executive Secretary:
Marine Khubua, Associated Professor

redaqtori: madona gelaSvili
asocirebuli profesori
Editor:
Madona Gelashvili, Associated Professor

teqnikuri redaqtori:
naziko gomelauri
Technical Editor: Naziko Gomelauri
koreqtori: rusiko papaskiri
asocirebuli profesori
Corrector:
Rusiko Papaskiri, Associated Professor

marketolog-konsultanti:
devi Sonia, asocirebuli profesori
Marketing Consultant:
Devi Shonia, Associated professora

iurist-konsultanti:
elgujaqavTaraZe, asocirebuli profesori
Legal Advisor:
Elguja Kavtaradze, Associated Professor

saredaqcio kolegia
EDITORIAL BOARD
Tavmjdomare: profesori daviT jalaRonia
Chairman: **professor David Jalagonia**

ekonomikur mecnierebaTa doqtorebi, profesorebi:
Doctors of Economics, Professors:

zaur amilaxvari	Zaur Amilakhvari
rezo gvelesiani	Rezo Gvelesiani
simon gelaSvili	Simon Gelashvili
irma dixaminjia	Irma Dikhaminjia
kaxaber eraZe	Kakhaber Eradze
SoTa veSapiZe	Shota Veshapidze
larisa TakalanZe	Larisa Takalandze
zurab lipartia	Zurab Lipartia
iakob mesxia	Iakob Meskhia
vladimer Rlonti	Vladimer Ghlonti
zaira RuduSauri	Zaira Gudushauri
Temur Sengelia	Temur Shengelia
mixeil CikvilaZe	Mikheil Chikviladze
nodar xaduri	Nodar Khaduri
elene xarabaZe	Elene Kharabadze
rezo xarebava	Rezo Kharebava
nanuli ZimceiSvili	Nanuli Dzimceishvili

anJelika krutova - xarkovi, ukraina
Angelica Krutova - Kharkiv, Ukraine
kerimovi elsever nariman oRli - baqo, azerbaijani
Kerimov Elsever Nariman Ogli - Baku, Azerbaijan

el. Jurnali ,,gadasaxadebi~ registrirebulia
s.k. 404941300
E. Magazine "GADASAKHADEBI" (Taxes) is registered
ID code: 404941300

mimRebi: Sps 'biznes inteleqti~
mimRebis IBAN angariSis #GE67TB332136020100005
mimRebis banki: s.s `Tibisi~ banki
bankis kodi: TBCBGE22

Beneficiary's name: **Business Intellect Ltd**
BEN'S ACCOUNT - GE67TB332136020100005
Beneficiary Bank: TBC BANK, GEORGIA
BANK KODE - TBCBGE22
T/Fax: 00995 32 2307851 , mob/Mob:00995 5 93 79 10 77

redaqciis azri SesaZloa ar emTxveodes avtorisas. statiaSi moyvanili faqtebisa da monacemebis sizusteze pasuxismgebelia avtori.
Author's opinion may differ from the one of the Editorial Board. Accuracy of the facts and data provided in the article is the responsibility of author

gamodis TveSi erTxel, fasi 4 lari / MONTHLY MAGAZINE, PRICE: GEL 4
ISSN 1987-9156

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

sarCevi / **Table of contents**

oficialuri dokumentebi / **Formal documents**

oficialuri dokumentebi ---------- 5-51

instruqcia / **Instructions** ----------52-53

Semosavlebis samsaxuris brZaneba / **Revenue Service command** ---- ---------- ---54

saqarTvelos erovnuli banki / **National Bank of Georgia** ---------55-56

gadasaxadebi #11, 2018

GADASAKHADEBI #11, 2018

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

საქართველოს კანონი

საქართველოს საგადასახადო კოდექსში ცვლილების შეტანის შესახებ

მუხლი 1. საქართველოს საგადასახადო კოდექსში (საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, №54, 12.10.2010, მუხ. 343) შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილება:

1. კოდექსს დაემატოს შემდეგი შინაარსის 72^1 მუხლი:

„მუხლი 72^1.საგადასახადო დოკუმენტი

1. საგადასახადო დოკუმენტი (შემდგომ – სდ) არის საქართველოს ფინანსთა მინისტრის მიერ დადგენილი ფორმის დოკუმენტი, რომელიც გამოიწერება:

ა) ქვეყნის შიგნით საქონლის ტრანსპორტირებისას;

ბ) საქონლის მიწოდებისას;

გ) მომსახურების გაწევისას.

2. სდ-ის გამოწერის შემთხვევაში სასაქონლო ზედნადების ან საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურის (მათ შორის, სპეციალური საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურის) გამოწერის ვალდებულება არ წარმოიშობა.

3. დღგ-ის გადამხდელისათვის სდ არის დღგ-ის ჩათვლის დოკუმენტი.

4. სდ-ის გამოწერის/გამოუწერლობის შემთხვევაში დგება ყველა ის სამართლებრივი შედეგი, რომელიც შესაბამის შემთხვევაში დადგებოდა სასაქონლო ზედნადების ან/და საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურის (მათ შორის, სპეციალური საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურის) გამოწერისას/ გამოუწერლობისას.

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

5. სდ-ის გამოწერისა და წარდგენის წესის დარღვევისას გამოიყენება შესაბამისად სასაქონლო ზედნადების ან საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურის (მათ შორის, სპეციალური საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურის) გამოწერისა და წარდგენის წესთან დაკავშირებული სამართალდარღვევისათვის საქართველოს კანონმდებლობით დაწესებული პასუხისმგებლობის ზომები.

6. სდ შეიძლება გამოიწეროს და წარდგენილ იქნეს ელექტრონული ფორმით.

7. სდ-ის გამოწერისა და წარდგენის წესი განისაზღვრება საქართველოს ფინანსთა მინისტრის ბრძანებით.“.

2. 88-ე მუხლის:

ა) პირველი ნაწილი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„1. მცირე ბიზნესის სტატუსი შეიძლება მიენიჭოს მეწარმე ფიზიკურ პირს.“;

ბ) მე-3 ნაწილი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„3. საქართველოს პარლამენტის საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტთან შეთანხმებით, საქართველოს მთავრობას უფლება აქვს, განსაზღვროს შემოსავლის სახეები, რომლებიც არ დაიბეგრება სპეციალური რეჟიმით და არ გაითვალისწინება ერთობლივ შემოსავალში მცირე ბიზნესის სტატუსის მქონე ფიზიკური პირისათვის დადგენილი კალენდარული წლის განმავლობაში მიღებული ერთობლივი შემოსავლის 500000-ლარიანი ზღვრის გაანგარიშებისას.“.

3. 89-ე მუხლის მე-2–მე-4 ნაწილები ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„2. მცირე ბიზნესის სტატუსი უქმდება, თუ:

ა) პირის ეკონომიკური საქმიანობიდან მიღებულმა ერთობლივმა შემოსავალმა 2 კალენდარული წლის მიხედვით, თითოეული კალენდარული წლის განმავლობაში 500 000 ლარს გადააჭარბა;

ბ) პირმა ამ მოთხოვნით საგადასახადო ორგანოს კალენდარული წლის დასრულებამდე მიმართა;

გ) პირი ახორციელებს ამ კოდექსის 88-ე მუხლის მე-2 ნაწილით გათვალისწინებულ საქმიანობას;

დ) პირი კალენდარული წლის განმავლობაში არანაკლებ 3-ჯერ დაჯარიმდა საკონტროლო-სალარო აპარატის გამოყენების წესების დარღვევისათვის.

3. ამ მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ ან „ბ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში მცირე ბიზნესის სტატუსი გაუქმებულად ითვლება კალენდარული წლის მომდევნო წლის დასაწყისიდან.

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

4. ამ მუხლის მე-2 ნაწილის „გ“ ან „დ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული საფუძვლით მცირე ბიზნესის სტატუსის გაუქმების შემთხვევაში მცირე ბიზნესის სტატუსი გაუქმებულად ითვლება მიმდინარე კალენდარული წლის დასაწყისიდან.“.

4. 90-ე მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მუხლი 90. მცირე ბიზნესის დასაბეგრი შემოსავალი და გადასახადის განაკვეთები

1. მცირე ბიზნესის სტატუსის მქონე პირის დასაბეგრი შემოსავალი იბეგრება 1 პროცენტით, გარდა ამ მუხლის მე-2 ნაწილით გათვალისწინებული შემთხვევისა.

2. მცირე ბიზნესის სტატუსის მქონე პირის დასაბეგრი შემოსავალი იბეგრება 3 პროცენტით, თუ ეკონომიკური საქმიანობიდან მიღებულმა მისმა ერთობლივმა შემოსავალმა 500 000 ლარს გადააჭარბა. მცირე ბიზნესის სტატუსის მქონე პირი ამ ნაწილის მიხედვით დადგენილი განაკვეთით იბეგრება შესაბამისი თვის (ერთობლივი შემოსავლის 500000-ლარიანი ზღვრის გადაჭარბების დაფიქსირების თვის) დასაწყისიდან კალენდარული წლის დასრულებამდე.

3. მცირე ბიზნესის დასაბეგრი შემოსავალი შედგება საქართველოში არსებული წყაროდან მიღებული შემოსავლებისაგან, გარდა ხელფასის სახით მიღებული შემოსავლისა და ამ კოდექსის 88-ე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად განსაზღვრული შემოსავლის სახიდან მიღებული შემოსავლისა.“.

5. 91-ე მუხლის:

ა) პირველი ნაწილი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„1. მცირე ბიზნესის სტატუსის მქონე პირი აწარმოებს აღრიცხვის სპეციალურ ჟურნალს. ამ ჟურნალის წარმოების (მათ შორის, ელექტრონული ფორმით წარმოების) წესი განისაზღვრება საქართველოს ფინანსთა მინისტრის ბრძანებით.“;

ბ) მე-2 ნაწილი ამოღებულ იქნეს;

გ) მე-3 ნაწილი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„3. მცირე ბიზნესის სტატუსის მქონე პირი ვალდებულია საქონლის ტრანსპორტირებისას ან/და მიწოდებისას ამ კოდექსით გათვალისწინებულ შემთხვევებში გამოიყენოს სასაქონლო ზედნადები.“;

დ) მე-4 ნაწილი ამოღებულ იქნეს;

ე) მე-6 ნაწილი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„6. მცირე ბიზნესის სტატუსის მქონე მეწარმე ფიზიკური პირისთვის სტატუსის გაუქმებისას არსებული სასაქონლო ნაშთების აღრიცხვის წესი განისაზღვრება საქართველოს ფინანსთა მინისტრის ბრძანებით.“;

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

ვ) მე-7 ნაწილი ამოღებულ იქნეს.

6. 92-ე მუხლის პირველი ნაწილი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„1. მცირე ბიზნესის სტატუსის მქონე მეწარმე ფიზიკური პირი, რომელსაც წარმოეშვა დღგ-ის გადამხდელად სავალდებულო რეგისტრაციის ვალდებულება, ამ კოდექსის 157-ე მუხლის შესაბამისად ვალდებულია გატარდეს რეგისტრაციაში.“.

7. 93-ე მუხლის:

ა) პირველი ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტი ამოღებულ იქნეს;

ბ) პირველი ნაწილის შემდეგ დაემატოს შემდეგი შინაარსის 1^1 ნაწილი:

„1^1. მცირე ბიზნესის სტატუსის მქონე პირის საგადასახადო დეკლარაციის საგადასახადო ორგანოსთვის წარდგენა და გადასახადის გადახდა ხორციელდება არაუგვიანეს საანგარიშო თვის მომდევნო თვის 15 რიცხვისა.“.

8. 94-ე მუხლის:

ა) პირველი ნაწილი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„1. მიკრო ბიზნესის სტატუსის მქონე ფიზიკური პირი და მცირე ბიზნესის სტატუსის მქონე ფიზიკური პირი მიმდინარე გადასახდელებს არ იხდიან.“;

ბ) მე-2 ნაწილი ამოღებულ იქნეს;

გ) მე-4 ნაწილი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„4. დაქირავებული პირებისთვის მცირე ბიზნესის სტატუსის მქონე პირის მიერ კალენდარული წლის განმავლობაში ჯამურად გადახდილი 6 000 ლარამდე ხელფასი გადახდის წყაროსთან არ იბეგრება, თუ არსებობს ერთ-ერთი შემდეგი პირობა:

ა) იგი ინდივიდუალურ მეწარმედ დარეგისტრირდა და მას მცირე ბიზნესის სტატუსი მიენიჭა იმავე კალენდარული წლის განმავლობაში;

ბ) მის მიერ წინა კალენდარული წლის განმავლობაში მიღებული ერთობლივი შემოსავალი 50 000 ლარს არ აჭარბებს.“.

9. 97-ე მუხლის:

ა) მე-2 ნაწილი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„2. ორგანიზაციის, რომელიც ახორციელებს ეკონომიკურ საქმიანობას, მოგების გადასახადით დაბეგვრის ობიექტია:

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

ა) გაწეული ხარჯი ან სხვა გადახდა, რომელიც არ არის დაკავშირებული ეკონომიკურ საქმიანობასთან ან/და არ გამომდინარეობს ამ ორგანიზაციის საქმიანობის მიზნიდან (მათ შორის, არ არის დაკავშირებული საქველმოქმედო საქმიანობასთან ან არ გამომდინარეობს გრანტის ხელშეკრულების მიზნიდან);

ბ) უსასყიდლოდ საქონლის მიწოდება/მომსახურების გაწევა ან/და ფულადი სახსრების გადაცემა, თუ ეს არ გამომდინარეობს ამ ორგანიზაციის საქმიანობის მიზნიდან;

გ) ამ კოდექსით დადგენილ ზღვრულ ოდენობაზე მეტი ოდენობით გაწეული წარმომადგენლობითი ხარჯი.";

ბ) მე-10 ნაწილი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„10. ამ მუხლის პირველი–მე-3 ნაწილების მიზნებისათვის მოგების გადასახადით დასაბეგრი თანხა მიიღება იმავე ნაწილების შესაბამისად განსაზღვრული დაბეგვრის ობიექტის მიხედვით განხორციელებული განაცემის/გაწეული ხარჯის ოდენობის 0.85-ზე გაყოფის შედეგად.".

10. 98^2 მუხლის პირველი ნაწილის „გ" ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„გ) მიკრო ბიზნესის სტატუსის მქონე ფიზიკური პირისაგან შეძენილ საქონელზე/მომსახურებაზე გაწეული ხარჯი, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ამ სტატუსის მქონე პირის მიერ საქონლის მიწოდებით/მომსახურების გაწევით მიღებული შემოსავალი საერთო წესით იბეგრება ან საქონლის მიწოდებისას/შეძენისას გამოწერილია სასაქონლო ზედნადები/საქართველოს ფინანსთა მინისტრის მიერ დადგენილი ფორმის დოკუმენტი;".

11. 99-ე მუხლის პირველი ნაწილის:

ა) „ა"–„$გ^1$" ქვეპუნქტები ამოღებულ იქნეს;

ბ) „პ" ქვეპუნქტი ამოღებულ იქნეს;

გ) „უ" ქვეპუნქტი ამოღებულ იქნეს.

12. მე-100 მუხლის მე-4 ნაწილის „დ" ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„დ) მცირე ბიზნესის სტატუსის მქონე პირის მიერ დაქირავებულისთვის გადახდილი ხელფასი, რომელიც, ამ კოდექსის 94-ე მუხლის მე-4 ნაწილის თანახმად, გადახდის წყაროსთან არ იბეგრება;".

13. 106-ე მუხლის „ვ" ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

„ვ) მიკრო ბიზნესის სტატუსის მქონე ფიზიკური პირისაგან შეძენილ საქონელზე/მომსახურებაზე გაწეული ხარჯი, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ამ სტატუსის მქონე პირის მიერ საქონლის მიწოდებით/მომსახურების გაწევით მიღებული შემოსავალი საერთო წესით იბეგრება ან საქონლის მიწოდებისას/შეძენისას გამოწერილია სასაქონლო ზედნადები/საქართველოს ფინანსთა მინისტრის მიერ დადგენილი ფორმის დოკუმენტი;“.

14. 133^3 მუხლის პირველი ნაწილი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„1. საქართველოს ფინანსთა მინისტრი უფლებამოსილია განსაზღვროს იმ საქონლის ჩამონათვალი, რომლის მიწოდებით ფიზიკური პირის მიერ მიღებული შემოსავალი იბეგრება გადახდის წყაროსთან 3-პროცენტიანი განაკვეთით, საქონლის შემძენი პირის მიერ.“.

15. 135-ე მუხლის მე-2 ნაწილი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„2. რეზიდენტი საწარმოსთვის, ორგანიზაციისა და საქართველოში არარეზიდენტის მუდმივი დაწესებულებისთვის (პირები, რომლებიც მოგების გადასახადით იბეგრებიან ამ კოდექსის 97-ე მუხლის პირველი–მე-3 ნაწილებით გათვალისწინებული დაბეგვრის ობიექტების მიხედვით) საანგარიშო პერიოდია კალენდარული თვე.“.

16. 143-ე მუხლის:

ა) მე-3 ნაწილი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„3. ამხანაგობა ვალდებულია ამ კოდექსის 154-ე მუხლის შესაბამისად გადახდის წყაროსთან დაბეგროს მისი წილის მფლობელი ფიზიკური პირისათვის (პირი, რომელიც არ არის დარეგისტრირებული ინდივიდუალურ მეწარმედ ან/და დღგ-ის გადამხდელად) განაწილებული შემოსავალი.“;

ბ) მე-9 ნაწილი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„9. ამ მუხლის მე-2 და მე-5–მე-7 ნაწილების დებულებები არ ვრცელდება ამხანაგობის წევრზე, რომელიც მოგების გადასახადით იბეგრება ამ კოდექსის 97-ე მუხლის პირველი–მე-3 ნაწილებით გათვალისწინებული დაბეგვრის ობიექტების მიხედვით.“.

17. 153-ე მუხლის:

ა) პირველი ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ბ) საწარმო (გარდა იმ საწარმოებისა, რომლებიც მოგების გადასახადით იბეგრებიან ამ კოდექსის 97-ე მუხლის პირველი–მე-3 ნაწილებით გათვალისწინებული დაბეგვრის ობიექტების მიხედვით);“;

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

ბ) მე-5 ნაწილი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„5. მეწარმე ფიზიკური პირი და საწარმო (გარდა იმ საწარმოებისა, რომლებიც მოგების გადასახადით იბეგრებიან ამ კოდექსის 97-ე მუხლის პირველი–მე-3 ნაწილებით გათვალისწინებული დაბეგვრის ობიექტების მიხედვით) ვალდებული არიან, არაუგვიანეს საანგარიშო თვის მომდევნო თვის 15 რიცხვისა საგადასახადო ორგანოს წარუდგინონ დეკლარაცია საანგარიშო თვის მიხედვით გაცემული შრომის ანაზღაურების თანხების და დაკავებული გადასახადის შესახებ.“;

გ) მე-10 ნაწილი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„10. საწარმო, ორგანიზაცია და არარეზიდენტი საწარმოს მუდმივი დაწესებულება (საწარმოები, რომლებიც მოგების გადასახადით იბეგრებიან ამ კოდექსის 97-ე მუხლის პირველი–მე-3 ნაწილებით გათვალისწინებული დაბეგვრის ობიექტების მიხედვით) ვალდებული არიან, ყოველთვიურად, არაუგვიანეს საანგარიშო თვის მომდევნო თვის 15 რიცხვისა საგადასახადო ორგანოს წარუდგინონ დეკლარაცია მოგების გადასახადის შესახებ და საანგარიშო თვის მიხედვით გაცემული შრომის ანაზღაურების თანხების და დაკავებული გადასახადის შესახებ.“.

18. 154-ე მუხლის პირველი ნაწილის „დ“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„დ) საწარმო/ორგანიზაცია ან მეწარმე ფიზიკური პირი, რომელიც გაწეული მომსახურების ღირებულებას უნაზღაურებს ფიზიკურ პირს (გარდა დღგ-ის გადამხდელად რეგისტრირებული ფიზიკური პირისა, ნოტარიუსისა, კერძო აღმასრულებლისა, მიკრო ბიზნესის სტატუსის მქონე ფიზიკური პირისა და ფიქსირებული გადასახადის გადამხდელის სტატუსის მქონე ფიზიკური პირისა, შესაბამისი საქმიანობის ნაწილში), რომელიც ინდივიდუალურ მეწარმედ დარეგისტრირებული არ არის;“.

19. 161-ე მუხლის:

ა) პირველი ნაწილის „ვ“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ვ) ამ კოდექსის 115-ე მუხლის მე-4 ნაწილით გათვალისწინებულ შემთხვევაში იჯარის ხელშეკრულების ვადის გასვლისას ან ვადაზე ადრე შეწყვეტისას მოიჯარის (გარდა ამ კოდექსის 97-ე მუხლის პირველი–მე-3 ნაწილებით გათვალისწინებული პირებისა) მიერ ძირითადი საშუალებების მეიჯარისათვის დაბრუნება, რომლის დროსაც:

ვ.ა) დასაბეგრი ოპერაციების თანხა ტოლია აღნიშნულ ძირითად საშუალებებზე გაწეული რემონტის ხარჯების ჯგუფის ღირებულებითი ბალანსიდან გამოსაკლები თანხისა, რომლითაც აღნიშნული ჯგუფი ნულდება;

ვ.ბ) დასაბეგრი ოპერაციის განხორციელების დროდ ითვლება იჯარის ხელშეკრულების ვადის გასვლის ან ვადაზე ადრე შეწყვეტის მომენტი;“;

ბ) მე-6 ნაწილი ამოღებულ იქნეს.

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

20. 168-ე მუხლის:

ა) პირველ ნაწილს დაემატოს შემდეგი შინაარსის „ლ[1]“ ქვეპუნქტი:

„ლ[1]) საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრისა და საქართველოს ფინანსთა მინისტრის ერთობლივი ბრძანებით განსაზღვრული, ბავშვობიდან შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირის, აგრეთვე მკვეთრად და მნიშვნელოვნად გამოხატული შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირის გადაადგილებისათვის აუცილებელი საქონელი;“;

ბ) მე-4 ნაწილის:

ბ.ა) „ძ“ ქვეპუნქტის შემდეგ დაემატოს შემდეგი შინაარსის „ძ[1]“ ქვეპუნქტი:

„ძ[1]) საჰაერო ხომალდებისა და საერთაშორისო საზღვაო რეისების განმახორციელებელი ხომალდებისათვის ტექნიკური მომსახურების გაწევა;“;

ბ.ბ) „წ“ ქვეპუნქტის შენიშვნა ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„**შენიშვნა**: ამ ქვეპუნქტში მითითებული საქონელი არ მოიცავს შავი ლითონის სხმულებს, ზოდებს, ნაგლინს, სხვა პირველადი გადამუშავების ნედლეულს და ნახევარფაბრიკატებს, რომლებიც კლასიფიცირებულია საგარეო-ეკონომიკური საქმიანობის ეროვნული სასაქონლო ნომენკლატურის 7201, 7202, 7203, 7205, 7206, 7207 სასაქონლო პოზიციებში და 7204 50 000 00 სასაქონლო ქვესუბპოზიციაში;“.

21. 175[1] მუხლი ამოღებულ იქნეს.

22. 189-ე მუხლის მე-8 ნაწილი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„8. საგარეო-ეკონომიკური საქმიანობის ეროვნული სასაქონლო ნომენკლატურის 8703 კოდში აღნიშნული მსუბუქი ავტომობილის ან 8711 კოდში აღნიშნული მოტოციკლის (მოპედის ჩათვლით) იმპორტის სასაქონლო ოპერაციაში გაფორმებიდან, თუ სატრანსპორტო საშუალება 90 კალენდარული დღის განმავლობაში გაფორმდება ექსპორტის სასაქონლო ოპერაციაში და დატოვებს საქართველოს ტერიტორიას, იმპორტიორი უფლებამოსილია დადგენილი წესის შესაბამისად დაიბრუნოს სატრანსპორტო საშუალებაზე გადახდილი აქციზი 100 პროცენტის ოდენობით.“.

23. 194-ე მუხლის მე-5 ნაწილს დაემატოს შემდეგი შინაარსის „ლ[1]“ ქვეპუნქტი:

„ლ[1]) საგარეო-ეკონომიკური საქმიანობის ეროვნული სასაქონლო ნომენკლატურის 8703 სასაქონლო პოზიციით გათვალისწინებული სატრანსპორტო საშუალება, რომელიც ქარხნულად ადაპტირებულია შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირის მიერ გამოყენებისათვის, თუ სატრანსპორტო საშუალების იმპორტის განმახორციელებელი არის შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირი, რომელიც სავარძელ-ეტლით გადაადგილებას საჭიროებს. ამ ქვეპუნქტით გათვალისწინებული შეღავათის გამოყენების წესი განისაზღვრება საქართველოს ფინანსთა მინისტრის ბრძანებით.

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

შენიშვნა: ამ ქვეპუნქტით გათვალისწინებული შეღავათი შესაბამისმა პირმა შეიძლება გამოიყენოს 3 წელიწადში ერთხელ;“.

24. 286-ე მუხლის მე-7 ნაწილი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„7. ამ მუხლის პირველი, მე-2, 3^1 და მე-4 ნაწილებით გათვალისწინებული სანქციები არ დაეკისრება მიკრო ბიზნესის სტატუსის მქონე პირს, აგრეთვე ფიქსირებული გადასახადის გადამხდელის სტატუსის მქონე პირს (გარდა ამ კოდექსის 95^3 მუხლის პირველი ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული განაკვეთით დასაბეგრი საქმიანობისა) სპეციალური რეჟიმით დაბეგვრას დაქვემდებარებული საქმიანობის ფარგლებში.“.

25. 288-ე მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მუხლი 288. მიკრო და მცირე ბიზნესის საქმიანობის წესის დარღვევა

ქმედება, რამაც ამ კოდექსის 85-ე მუხლის მე-4 ნაწილით ან 89-ე მუხლის მე-2 ნაწილის „გ“ ან „დ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული საფუძვლის გამო გამოიწვია საგადასახადო ორგანოს მიერ პირისათვის მიკრო ბიზნესის სტატუსის ან მცირე ბიზნესის სტატუსის გაუქმება, – იწვევს პირის დაჯარიმებას 500 ლარის ოდენობით.“.

26. 297-ე მუხლის:

ა) მე-3 ნაწილი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„3. საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სისტემაში საგადასახადო დავა ორეტაპიანია და იწყება საჩივრის შემოსავლების სამსახურში წარდგენით, გარდა ამ მუხლის 3^1 ნაწილით გათვალისწინებული შემთხვევისა.“;

ბ) მე-3 ნაწილის შემდეგ დაემატოს შემდეგი შინაარსის 3^1 ნაწილი:

„3^1. ამ კოდექსის 47-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული წინასწარი გადაწყვეტილება შემოსავლების სამსახურში არ საჩივრდება. პირს უფლება აქვს, ამ კოდექსის 47-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული წინასწარი გადაწყვეტილება გაასაჩივროს საქართველოს ფინანსთა სამინისტროსთან არსებულ დავების განხილვის საბჭოში.“.

27. 309-ე მუხლის:

ა) მე-15 ნაწილი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„15. 2020 წლის 1 იანვრამდე საკონტროლო-სალარო აპარატების გამოყენების ვალდებულებისაგან თავისუფლდებიან ფიზიკური პირები, რომლებიც არ იყენებენ დაქირავებულ პირთა შრომას და ახორციელებენ ეკონომიკურ საქმიანობას ბაზრის (ბაზრობის) ტერიტორიაზე განლაგებული არასტაციონარული სავაჭრო ადგილიდან, მათ შორის, დახლიდან, გარდა ფიზიკური პირისა, რომელსაც მინიჭებული აქვს მცირე ბიზნესის სტატუსი ან რომელიც დარეგისტრირებულია ან ვალდებულია დარეგისტრირდეს დღგ-ის გადამხდელად ამ კოდექსის შესაბამისად.“;

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

ბ) 94-ე და 95-ე ნაწილები ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„94. კომერციული ბანკი, საკრედიტო კავშირი, სადაზღვევო ორგანიზაცია, მიკროსაფინანსო ორგანიზაცია და ლომბარდი მოგების გადასახადით ამ კოდექსის 97-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული დაბეგვრის ობიექტის მიხედვით იბეგრებიან 2023 წლის 1 იანვრიდან.

95. 2023 წლის 1 იანვრამდე კომერციული ბანკის, საკრედიტო კავშირის, სადაზღვევო ორგანიზაციის, მიკროსაფინანსო ორგანიზაციისა და ლომბარდის მოგების გადასახადით დაბეგვრის ობიექტია სხვაობა კალენდარული წლის განმავლობაში მიღებულ ერთობლივ შემოსავალსა და ამ კოდექსით გათვალისწინებული გამოქვითვების თანხებს შორის.“;

გ) 99-ე ნაწილი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„99. ამ კოდექსის98^1 მუხლის მიზნებისთვის:

ა) 2008 წლის 1 იანვრიდან 2023 წლის 1 იანვრამდე პერიოდების კუთვნილი მოგებიდან ამ მუხლის 94-ე ნაწილით გათვალისწინებული პირისგან მიღებული დივიდენდის განაწილება მოგების განაწილებად არ ითვლება;

ბ) 2008 წლის 1 იანვრიდან 2017 წლის 1 იანვრამდე პერიოდების კუთვნილი მოგებიდან ამ მუხლის 94-ე ნაწილით გათვალისწინებულ პირზე დივიდენდის განაწილება, აგრეთვე 2017 წლის 1 იანვრიდან 2023 წლის 1 იანვრამდე პერიოდების კუთვნილი მოგებიდან ამ მუხლის 94-ე ნაწილით გათვალისწინებულ პირზე დივიდენდის 2023 წლის 1 იანვრამდე განაწილება მოგების განაწილებად ითვლება.“;

დ) 106-ე ნაწილის შემდეგ დაემატოს შემდეგი შინაარსის 107-ე ნაწილი:

„107. 2018 წლის 1 იანვრამდე დადებული გრძელვადიანი კონტრაქტების მიმართ დღგ-ით დაბეგვრის მიზნებისათვის გამოიყენება 2018 წლის 1 იანვრამდე მოქმედი ნორმები.“;

ე) 107-ე ნაწილის შემდეგ დაემატოს შემდეგი შინაარსის 108-ე–110-ე ნაწილები:

„108. მცირე ბიზნესის სტატუსის მქონე პირი ვალდებულია 2018 წლის 1 იანვრიდან 1 ივლისამდე საგადასახადო პერიოდისათვის საგადასახადო დეკლარაცია საგადასახადო ორგანოს წარუდგინოს არაუგვიანეს 2019 წლის 1 აპრილისა.

109. მეწარმე ფიზიკური პირი, რომელსაც მცირე ბიზნესის სტატუსი მიენიჭა 2018 წლის 1 ივლისიდან 2019 წლის 1 იანვრამდე პერიოდში, ვალდებულია არასრული საგადასახადო პერიოდისათვის (2018 წლის 1 იანვრიდან სტატუსის მინიჭების თვემდე პერიოდისათვის) საგადასახადო დეკლარაცია საგადასახადო ორგანოს წარუდგინოს არაუგვიანეს 2019 წლის 1 აპრილისა.

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

110. მცირე ბიზნესის სტატუსის მქონე პირს 2018 წლის 1 ივლისიდან 2019 წლის 1 იანვრამდე საანგარიშო პერიოდებისათვის ამ კოდექსის 93-ე მუხლის 1^1 ნაწილით განსაზღვრული საგადასახადო დეკლარაციის საგადასახადო ორგანოსთვის წარსადგენად დადგენილი ვადის დარღვევისათვის ამ კოდექსის 274-ე მუხლით გათვალისწინებული ჯარიმა არ დაეკისრება.“.

მუხლი 2

1. ეს კანონი, გარდა ამ კანონის პირველი მუხლის პირველი–მე-12 და მე-15 ნაწილებისა, მე-16 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტისა, მე-17 ნაწილისა, მე-19 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტისა, 21-ე, 24-ე და 25-ე ნაწილებისა და 27-ე ნაწილის „ა“ და „ე“ ქვეპუნქტებისა, ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

2. ამ კანონის პირველი მუხლის პირველი–მე-8, მე-10, მე-12, 21-ე, 24-ე და 25-ე ნაწილები და 27-ე ნაწილის „ა“ და „ე“ ქვეპუნქტები ამოქმედდეს 2018 წლის 1 ივლისიდან.

3. ამ კანონის პირველი მუხლის მე-9, მე-11 და მე-15 ნაწილები, მე-16 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტი, მე-17 ნაწილი და მე-19 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტი ამოქმედდეს 2019 წლის 1 იანვრიდან.

4. ამ კანონის პირველი მუხლის მე-16 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული საქართველოს საგადასახადო კოდექსის 143-ე მუხლის მე-3 ნაწილის და მე-18 ნაწილით გათვალისწინებული საქართველოს საგადასახადო კოდექსის 154-ე მუხლის პირველი ნაწილის „დ“ ქვეპუნქტის მოქმედება გავრცელდეს 2018 წლის 1 იანვრიდან წარმოშობილ სამართლებრივ ურთიერთობებზე.

საქართველოს პრეზიდენტი

გიორგი მარგველაშვილი

ქუთაისი,

30 მაისი 2018 **წ.**

N2391-IIს

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

საქართველოს კანონი

„საქართველოს საგადასახადო კოდექსში ცვლილების შეტანის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე

მუხლი 1. „საქართველოს საგადასახადო კოდექსში ცვლილების შეტანის შესახებ“ საქართველოს კანონის (საქართველოს საკანონმდებლო მაცნე (www.matsne.gov.ge), 01.06.2016, სარეგისტრაციო კოდი: 200000000.05.001.018123) მე-3 მუხლის მე-3 ნაწილი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„3. ამ კანონის პირველი მუხლის მე-10 და მე-18 ნაწილები ამოქმედდეს 2023 წლის 1 იანვრიდან.“.

მუხლი 2. ეს კანონი ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საქართველოს პრეზიდენტი

გიორგი მარგველაშვილი

ქუთაისი,

30 მაისი 2018 წ.

N2392-IIს

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

საქართველოს კანონი

„რეგულირების საფასურის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე

მუხლი 1. „რეგულირების საფასურის შესახებ“ საქართველოს კანონის (საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, №38, 15.07.2005, მუხ. 260) 5^1 მუხლის მე-5 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„5. ბუნებრივი რესურსებით (გარდა ნავთობისა, გაზისა და სასარგებლო წიაღისეულისა) სარგებლობის რეგულირების საფასურის ანგარიშგების წესი განისაზღვრება საჯარო სამართლის იურიდიული პირის – გარემოს ეროვნული სააგენტოს ნორმატიული აქტით. სასარგებლო წიაღისეულით სარგებლობის რეგულირების საფასურის ანგარიშგების წესი განისაზღვრება საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს სისტემაში შემავალი საჯარო სამართლის იურიდიული პირის – წიაღის ეროვნული სააგენტოს ნორმატიული აქტით, ხოლო „ნავთობისა და გაზის შესახებ“ საქართველოს კანონით რეგულირებული ურთიერთობების შემთხვევაში – საჯარო სამართლის იურიდიული პირის – ნავთობისა და გაზის სახელმწიფო სააგენტოს ნორმატიული აქტით.“.

მუხლი 2. ეს კანონი ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საქართველოს პრეზიდენტი

გიორგი მარგველაშვილი

ქუთაისი,

30 მაისი 2018 წ.

N2393-IIს

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

საქართველოს კანონი

„სახელმწიფო კომპენსაციისა და სახელმწიფო აკადემიური სტიპენდიის შესახებ“

საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე

მუხლი 1. „სახელმწიფო კომპენსაციისა და სახელმწიფო აკადემიური სტიპენდიის შესახებ“ საქართველოს კანონის (საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, №56, 28.12.2005, მუხ. 433) მე-4 მუხლის „გ“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„გ) საჯარო საქმიანობა – სახელმწიფო სამსახურსა და საჯარო სამსახურში, მათ შორის, საჯარო სამართლის იურიდიულ პირში (გარდა პოლიტიკური და რელიგიური ორგანიზაციებისა, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებისა, პროფესიული და უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებებისა, სამეცნიერო-კვლევითი დაწესებულებებისა, საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიისა, საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიისა, მუზეუმებისა, ბიბლიოთეკებისა, სკოლა-პანსიონებისა, ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების, სკოლისგარეშე და სააღმზრდელო საქმიანობის განმახორციელებელი დაწესებულებებისა), განხორციელებული შრომითი ანაზღაურებადი საქმიანობა. საჯარო საქმიანობად არ მიიჩნევა საუბნო საარჩევნო კომისიაში განხორციელებული შრომითი ანაზღაურებადი საქმიანობა და საოლქო საარჩევნო კომისიის დროებითი წევრის მიერ განხორციელებული შრომითი ანაზღაურებადი საქმიანობა. საჯარო საქმიანობად არ მიიჩნევა აგრეთვე სამხედრო სარეზერვო სამსახურში განხორციელებული საქმიანობა. ისეთი შრომითი ანაზღაურებადი საქმიანობის შესახებ ინფორმაციას, რომელიც საჯარო საქმიანობას მიეკუთვნება, კომპეტენტურ ორგანოს შეთანხმებული ფორმატით აწვდის საქართველოს ფინანსთა სამინისტრო;“.

მუხლი 2. ეს კანონი ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საქართველოს პრეზიდენტი

გიორგი მარგველაშვილი

ქუთაისი,

6 ივნისი 2018 წ.

N2454-რს

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

საქართველოს კანონი

საქართველოს საგადასახადო კოდექსში ცვლილების შეტანის შესახებ

მუხლი 1. საქართველოს საგადასახადო კოდექსში (საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, №54, 12.10.2010, მუხ. 343) შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილება:

1. კოდექსს დაემატოს შემდეგი შინაარსის 242 მუხლი:

„მუხლი 24[2]. სპეციალური საწარმო

1. სპეციალური საწარმო არის პირი, რომელსაც ამ მუხლის შესაბამისად სპეციალური საწარმოს სტატუსი აქვს მინიჭებული.

2. სპეციალური საწარმოს სტატუსის მქონე პირს უფლება აქვს, საქართველოს კანონმდებლობით ნებადართულ საქმიანობასთან ერთად, „ოკუპირებული ტერიტორიების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-6 მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებული სპეციალური თანხმობით, განახორციელოს შემდეგი საქმიანობა:

ა) საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიაზე წარმოშობილი ან წარმოებული საქონლის საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიიდან საქართველოს სხვა ტერიტორიაზე მიწოდება ან/და საქართველოს ტერიტორიიდან (გარდა საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიისა) კანონის შესაბამისად ექსპორტის სასაქონლო ოპერაციაში მოქცევა. ამ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევებში აკრძალულია აქციზური საქონლის (გარდა ალკოჰოლიანი სასმელისა და თამბაქოს ნაწარმისა) მიწოდება;

ბ) საქართველოს საქონლის (გარდა საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიაზე წარმოშობილისა ან წარმოებულისა) საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიაზე მიწოდება;

გ) საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიაზე საქონლის მხოლოდ ამ ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული მიზნისთვის წარმოება.

3. პირს სპეციალური საწარმოს სტატუსს ანიჭებს საგადასახადო ორგანო.

4. სპეციალური საწარმოს სტატუსის მქონე პირს უფლება აქვს, ამ მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ და „ბ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული საქონლის მიწოდება განახორციელოს მხოლოდ:

ა) აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორიაზე/ ტერიტორიიდან – ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მიმართულებიდან/მიმართულებით;

ბ) ცხინვალის რეგიონის (ყოფილი სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის) ტერიტორიაზე/ტერიტორიიდან – გორის მუნიციპალიტეტის მიმართულებიდან/ მიმართულებით.

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

5. პირისთვის სპეციალური საწარმოს სტატუსის მინიჭებისა და გაუქმების, საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიაზე წარმოშობილი ან წარმოებული საქონლის დადგენისა და აღნიშნული სტატუსის მქონე პირის ფუნქციონირების წესებს განსაზღვრავს საქართველოს მთავრობა.“.

2. 66-ე მუხლის:

ა) პირველი ნაწილი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„1. საქართველოს მოქალაქე ფიზიკური პირი, პირადობის ნეიტრალური მოწმობის ან ნეიტრალური სამგზავრო დოკუმენტის მქონე პირი, აგრეთვე აფხაზეთის ავტონომიურ რესპუბლიკასა და ცხინვალის რეგიონში (ყოფილ სამხრეთ ოსეთის ავტონომიურ ოლქში) ლეგიტიმურად მცხოვრები პირები, რომლებიც საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით არიან რეგისტრირებული და რომლებსაც მინიჭებული აქვთ პირადი ნომერი, გარდა იმ პირისა, რომლის შემოსავალიც იბეგრება წყაროსთან ან გათავისუფლებულია დაბეგვრისაგან, ვალდებული არიან ეკონომიკური საქმიანობის დაწყებამდე განცხადებით მიმართონ საგადასახადო ორგანოს მათთვის საიდენტიფიკაციო ნომრების მინიჭების მიზნით.“;

ბ) მე-4 და მე-5 ნაწილები ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„4. საქართველოს მოქალაქე ფიზიკური პირი, პირადობის ნეიტრალური მოწმობის ან ნეიტრალური სამგზავრო დოკუმენტის მქონე პირი, აგრეთვე აფხაზეთის ავტონომიურ რესპუბლიკასა და ცხინვალის რეგიონში (ყოფილ სამხრეთ ოსეთის ავტონომიურ ოლქში) ლეგიტიმურად მცხოვრები პირები, რომლებიც საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით არიან რეგისტრირებული და რომლებსაც მინიჭებული აქვთ პირადი ნომერი (გარდა მეწარმე ფიზიკური პირისა), უფლებამოსილი არიან საქართველოში გადასახადის გადახდის ან/და დეკლარირების ვალდებულების დადგომისას, საგადასახადო ორგანოში საგადასახადო აღრიცხვის პროცედურების გავლის გარეშეც, მოქალაქის პირადობის მოწმობაში, პირადობის ნეიტრალურ მოწმობაში ან ნეიტრალურ სამგზავრო დოკუმენტში აღნიშნული პირადი ნომერი, აგრეთვე რეგისტრაციის დროს მინიჭებული ნომერი (საიდენტიფიკაციო ნომერი) მიუთითონ წარმოშობილი საგადასახადო ვალდებულებების დეკლარირებისას და გადასახადის საბანკო დაწესებულებაში გადახდისას. საქართველოს მოქალაქე ფიზიკური პირის, პირადობის ნეიტრალური მოწმობის ან ნეიტრალური სამგზავრო დოკუმენტის მქონე პირის, აგრეთვე აფხაზეთის ავტონომიურ რესპუბლიკასა და ცხინვალის რეგიონში (ყოფილ სამხრეთ ოსეთის ავტონომიურ ოლქში) ლეგიტიმურად მცხოვრები პირების, რომლებიც საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით არიან რეგისტრირებული და რომლებსაც მინიჭებული აქვთ პირადი ნომერი, საგადასახადო აღრიცხვა ხორციელდება მათი საგადასახადო დეკლარაციების ან/და ბანკში წარდგენილი, გადასახადის გადახდის დამადასტურებელი საგადახდო დავალებების მონაცემების საფუძველზე.

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

5. საქართველოს მოქალაქე ფიზიკურ პირს (მათ შორის, მეწარმე ფიზიკურ პირს) საიდენტიფიკაციო ნომრად მიენიჭება ამავე პირის მოქალაქის პირადობის მოწმობაში აღნიშნული პირადი ნომერი, პირადობის ნეიტრალური მოწმობის ან ნეიტრალური სამგზავრო დოკუმენტის მქონე პირს – ამავე მოწმობაში/დოკუმენტში აღნიშნული პირადი ნომერი, ხოლო აფხაზეთის ავტონომიურ რესპუბლიკაში ან ცხინვალის რეგიონში (ყოფილ სამხრეთ ოსეთის ავტონომიურ ოლქში) ლეგიტიმურად მცხოვრებ პირს – რეგისტრაციის დროს მინიჭებული პირადი ნომერი.“.

3. 82-ე მუხლის პირველ ნაწილს დაემატოს შემდეგი შინაარსის „ჰ^{5}“ ქვეპუნქტი:

„ჰ^{5}) სპეციალური საწარმოს სტატუსის მქონე პირის მიერ ამ კოდექსის 24^{2} მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ და „ბ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული საქმიანობიდან მიღებული შემოსავალი.“.

4. 99-ე მუხლის პირველ ნაწილს დაემატოს შემდეგი შინაარსის „შ“ ქვეპუნქტი:

„შ) სპეციალური საწარმოს სტატუსის მქონე პირის მიერ ამ კოდექსის 24^{2} მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ და „ბ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული საქმიანობიდან მიღებული მოგების განაწილება.“.

5. 168-ე მუხლის:

ა) პირველ ნაწილს დაემატოს შემდეგი შინაარსის „ჰ^{1}“ ქვეპუნქტი:

„ჰ$^{1)}$ საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიაზე წარმოშობილი ან წარმოებული საქონლის საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიიდან სპეციალური საწარმოს სტატუსის მქონე პირისთვის მიწოდება.“;

ბ) მე-4 ნაწილს დაემატოს შემდეგი შინაარსის „ხ“ ქვეპუნქტი:

„ხ) სპეციალური საწარმოს სტატუსის მქონე პირის მიერ საქონლის საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიაზე მიწოდება.“.

6. კოდექსს დაემატოს შემდეგი შინაარსის 190^{2} მუხლი:

„მუხლი 190^{2}. სპეციალური საწარმოს სტატუსის მქონე პირის აქციზით დაბეგვრა სპეციალური საწარმოს სტატუსის მქონე პირისათვის აქციზით დაბეგვრის ობიექტი, აგრეთვე აქციზის გადასახადის გამოანგარიშების, დეკლარირებისა და გადახდის წესები განისაზღვრება საქართველოს მთავრობის დადგენილებით.“.

მუხლი 2.

2019 წლის 1 იანვრამდე საქართველოს მთავრობამ საქართველოს ფინანსთა სამინისტროს წარდგინებით უზრუნველყოს ამ კანონით გათვალისწინებული კანონქვემდებარე ნორმატიული აქტების მიღება.

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

მუხლი 3.

1. ეს კანონი, გარდა ამ კანონის პირველი მუხლისა, ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

2. ამ კანონის პირველი მუხლი ამოქმედდეს 2019 წლის 1 იანვრიდან.

საქართველოს პრეზიდენტი

გიორგი მარგველაშვილი

ქუთაისი,

6 ივნისი 2018 წ.

N2476-რს

საქართველოს კანონი

„გრანტების შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე

მუხლი 1. „გრანტების შესახებ“ საქართველოს კანონის (პარლამენტის უწყებანი, №19-20, 30.07.96, გვ. 11) მე-4 მუხლს დაემატოს შემდეგი შინაარსის „ვ^{3}“ ქვეპუნქტი:

„ვ^{3}) აფხაზეთის ავტონომიურ რესპუბლიკაში ან ცხინვალის რეგიონში (ყოფილ სამხრეთ ოსეთის ავტონომიურ ოლქში) ლეგიტიმურად მცხოვრები პირი, რომელიც საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით არის რეგისტრირებული და რომელსაც მინიჭებული აქვს პირადი ნომერი;“.

მუხლი 2. ეს კანონი ამოქმედდეს 2018 წლის 1 ოქტომბრიდან.

საქართველოს პრეზიდენტი

გიორგი მარგველაშვილი

ქუთაისი,

6 ივნისი 2018 წ.

N2477-რს

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

საქართველოს კანონი

„მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე

მუხლი 1. „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის (საქართველოს პარლამენტის უწყებები, 1994, №№21–22, მუხ. 455) 5^4 მუხლს დაემატოს შემდეგი შინაარსის 1^1 და 1^2 პუნქტები:

„1^1. ინდივიდუალურ მეწარმედ რეგისტრაციისათვის/ცვლილების რეგისტრაციისათვის მარეგისტრირებელი ორგანოსთვის განცხადების წარდგენის უფლება აქვთ აგრეთვე აფხაზეთის ავტონომიურ რესპუბლიკასა და ცხინვალის რეგიონში (ყოფილ სამხრეთ ოსეთის ავტონომიურ ოლქში) ლეგიტიმურად მცხოვრებ ფიზიკურ პირებს, რომლებიც საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით არიან რეგისტრირებული და რომლებსაც მინიჭებული აქვთ პირადი ნომერი.

1^2. ამ მუხლის 1^1 პუნქტით გათვალისწინებული პირების ინდივიდუალურ მეწარმედ რეგისტრაციის წესი განისაზღვრება შესაბამისი კანონქვემდებარე ნორმატიული აქტით.“.

მუხლი 2. ამ კანონის ამოქმედებიდან 3 თვის ვადაში უზრუნველყოფილ იქნეს ამ კანონით

გათვალისწინებული ნორმატიული აქტის ამ კანონთან შესაბამისობა.

მუხლი 3

1. ეს კანონი, გარდა ამ კანონის პირველი მუხლისა, ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

2. ამ კანონის პირველი მუხლი ამოქმედდეს 2018 წლის 1 ოქტომბრიდან.

საქართველოს პრეზიდენტი

გიორგი მარგველაშვილი

ქუთაისი,

6 ივნისი 2018 წ.

N2478-რს

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

საქართველოს კანონი

„ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონში

ცვლილების შეტანის თაობაზე

მუხლი 1. „ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის (საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, №20, 04.05.2005, მუხ. 143) 22-ე მუხლის მე-7 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„7. ამ მუხლით გათვალისწინებული დაფინანსება ვრცელდება საქართველოს მოქალაქეზე, დროებითი საიდენტიფიკაციო მოწმობის მქონე პირზე, „საქართველოს მოქალაქეთა და საქართველოში მცხოვრებ უცხოელთა რეგისტრაციის, პირადობის (ბინადრობის) მოწმობისა და საქართველოს მოქალაქის პასპორტის გაცემის წესის შესახებ“ საქართველოს კანონის 20[13] მუხლით გათვალისწინებულ პირზე, უცხო ქვეყნის მოქალაქეზე (მათ შორის, უცხოეთში მცხოვრები თანამემამულის სტატუსის მქონე სხვა სახელმწიფოს მოქალაქეზე), მოქალაქეობის არმქონე პირსა და საერთაშორისო დაცვის მქონე პირზე.“.

მუხლი 2. ამ კანონის ამოქმედებიდან 2 თვის ვადაში საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრომ უზრუნველყოს შესაბამისი კანონქვემდებარე ნორმატიული აქტების ამ კანონთან შესაბამისობა.

მუხლი 3

1. ეს კანონი, გარდა ამ კანონის პირველი მუხლისა, ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

2. ამ კანონის პირველი მუხლი ამოქმედდეს 2018 წლის 1 ოქტომბრიდან.

საქართველოს პრეზიდენტი

გიორგი მარგველაშვილი

ქუთაისი,

6 ივნისი 2018 წ.

N2479-რს

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

საქართველოს მთავრობის

დადგენილება №287

2018 წლის 1 ივნისი, ქ. თბილისი

„საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდის დაფუძნების, სამეთვალყურეო საბჭოს განსაზღვრისა და მისი დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2015 წლის 30 ოქტომბრის №558 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

მუხლი 1

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდის დაფუძნების, სამეთვალყურეო საბჭოს განსაზღვრისა და მისი დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2015 წლის 30 ოქტომბრის №558 დადგენილებაში (www.matsne.gov.ge, 02/11/2015, 040030000.10.003.018944) შეტანილ იქნეს ცვლილება და პირველი მუხლის მე-4 პუნქტის „ი“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ი) გრიგოლ კაცია – საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის მინისტრის მოადგილე, სამეთვალყურეო საბჭოს წევრი;“.

მუხლი 2

დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

პრემიერ-მინისტრი

გიორგი კვირიკაშვილი

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

საქართველოს მთავრობის

დადგენილება №297

2018 წლის 1 ივნისი, ქ. თბილისი

„სურსათზე კვებით ღირებულებასა და ჯანმრთელობასთან დაკავშირებული განაცხადის განთავსების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2016 წლის 17 ნოემბრის №510 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

მუხლი 1

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტისა და „საქართველოს მთავრობის სტრუქტურის, უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“ 2017 წლის 7 დეკემბრის №1620-რს საქართველოს კანონის მე-2 მუხლის მე-13 პუნქტის შესაბამისად, „სურსათზე კვებით ღირებულებასა და ჯანმრთელობასთან დაკავშირებული განაცხადის განთავსების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2016 წლის 17 ნოემბრის №510 დადგენილებაში (www.matsne.gov.ge, 21/11/2016, 240110000.10.003.019576) შეტანილ იქნეს ცვლილება და დადგენილებით დამტკიცებული „სურსათზე კვებით ღირებულებასა და ჯანმრთელობასთან დაკავშირებული განაცხადის განთავსების წესის“ მე-6 მუხლის მე-3 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„3. საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს სახელმწიფო კონტროლს დაქვემდებარებული საჯარო სამართლის იურიდიული პირი – სურსათის ეროვნული სააგენტო უფლებამოსილია, ბიზნესოპერატორს, რომელიც სურსათს განათავსებს ბაზარზე, მოსთხოვოს ამ წესთან შესაბამისობის შესახებ მონაცემები.“.

მუხლი 2

დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

პრემიერ-მინისტრი

გიორგი კვირიკაშვილი

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

საქართველოს მთავრობის

დადგენილება №300

2018 წლის 1 ივნისი, ქ. თბილისი

„საქართველოს ტერიტორიაზე ცხოველთა და ცხოველური პროდუქტების გადაზიდვისას გამოსაყენებელი ვეტერინარული მოწმობების ფორმებისა და მათი გაცემის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2015 წლის 7 ივლისის №325 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

მუხლი 1

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტისა და „საქართველოს მთავრობის სტრუქტურის, უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“ 2017 წლის 7 დეკემბრის №1620-რს საქართველოს კანონის მე-2 მუხლის მე-13 პუნქტის შესაბამისად, „საქართველოს ტერიტორიაზე ცხოველთა და ცხოველური პროდუქტების გადაზიდვისას გამოსაყენებელი ვეტერინარული მოწმობების ფორმებისა და მათი გაცემის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2015 წლის 7 ივლისის №325 დადგენილებაში (www.matsne.gov.ge, 09/07/2015, 340090000.10.003.018710) შეტანილ იქნეს ცვლილება და დადგენილებით დამტკიცებული:

1. **„საქართველოს ტერიტორიაზე ცხოველთა და ცხოველური პროდუქტების გადაზიდვისას გამოსაყენებელი ვეტერინარული მოწმობების ფორმების და მათი გაცემის წესის“ პირველი მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:**

„მუხლი 1. ამ წესის მოთხოვნები სავალდებულოა შესასრულებლად საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს მმართველობის სფეროში შემავალი საჯარო სამართლის იურიდიული პირის – სურსათის ეროვნული სააგენტოს (შემდგომში – სააგენტო) უფლებამოსილი პირებისთვის.“.

2. ვეტერინარული მოწმობის ფორმა №1-ისა და ვეტერინარული მოწმობის ფორმა №2-ის სათაური ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის

სამინისტრო

სსიპ – სურსათის ეროვნული სააგენტო“.

მუხლი 2

დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

პრემიერ-მინისტრი

გიორგი კვირიკაშვილი

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

საქართველოს მთავრობის

დადგენილება №305

2018 წლის 1 ივნისი, ქ. თბილისი

„პროფილაქტიკური კარანტინის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2017 წლის 3 თებერვლის №59 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

მუხლი 1

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტისა და „საქართველოს მთავრობის სტრუქტურის, უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“ 2017 წლის 7 დეკემბრის №1620-რს საქართველოს კანონის მე-2 მუხლის მე-13 პუნქტის შესაბამისად, „პროფილაქტიკური კარანტინის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2017 წლის 3 თებერვლის №59 დადგენილებაში (www.matsne.gov.ge, 06/02/2017, 240110000.10.003.019768) შეტანილ იქნეს ცვლილება და დადგენილებით დამტკიცებული „პროფილაქტიკური კარანტინის წესის“ პირველი მუხლის მე-2 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„2. ცხოველების იმპორტისას და ექსპორტისას ცხოველთა კარანტინში განთავსებასა და საკარანტინო ვეტერინარულ ზედამხედველობაზე სახელმწიფო კონტროლს ახორციელებს საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს სახელმწიფო კონტროლს დაქვემდებარებული საჯარო სამართლის იურიდიული პირი – სურსათის ეროვნული სააგენტო (შემდგომში – სააგენტო).“.

მუხლი 2

დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

პრემიერ-მინისტრი

გიორგი კვირიკაშვილი

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

საქართველოს მთავრობის

დადგენილება №314

2018 წლის 1 ივნისი, ქ. თბილისი

„საერთაშორისო გადაზიდვებისას ტვირთის ფიტოსანიტარიულ მოთხოვნებთან შეუსაბამობის შესახებ შეტყობინების წესის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2015 წლის 26 იანვრის №8 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ

მუხლი 1

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტისა და „საქართველოს მთავრობის სტრუქტურის, უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“ 2017 წლის 7 დეკემბრის №1620-რს საქართველოს კანონის მე-2 მუხლის მე-13 პუნქტის შესაბამისად, „საერთაშორისო გადაზიდვებისას ტვირთის ფიტოსანიტარიულ მოთხოვნებთან შეუსაბამობის შესახებ შეტყობინების წესის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2015 წლის 26 იანვრის №8 დადგენილებაში (www.matsne.gov.ge, 27/01/2015, 240110000.10.003.018392) შეტანილ იქნეს ცვლილება და დადგენილებით დამტკიცებული „საერთაშორისო გადაზიდვებისას ტვირთის ფიტოსანიტარიულ მოთხოვნებთან შეუსაბამობის შესახებ შეტყობინების წესის“ მე-4 მუხლის პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„1. საქართველოს საბაჟო საზღვარზე ფიტოსანიტარიულ მოთხოვნებთან შეუსაბამო ტვირთის დაკავებასა და მავნე ორგანიზმების იდენტიფიკაციას ახდენს საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მმართველობის სფეროში შემავალი საჯარო სამართლის იურიდიული პირი – შემოსავლების სამსახური (შემდგომში – სამსახური) და ინფორმაციას უგზავნის საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს სახელმწიფო კონტროლს დაქვემდებარებულ საჯარო სამართლის იურიდიულ პირს – სურსათის ეროვნულ სააგენტოს (შემდგომში – სააგენტო), ამ წესის შესაბამისად.“.

მუხლი 2

დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

პრემიერ-მინისტრი

გიორგი კვირიკაშვილი

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

საქართველოს მთავრობის

დადგენილება №316

2018 წლის 5 ივნისი, ქ. თბილისი

„სოციალურად დაუცველი ოჯახების (შინამეურნეობების) სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის შეფასების მეთოდოლოგიის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 31 დეკემბრის №758 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

მუხლი 1

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, „სოციალურად დაუცველი ოჯახების (შინამეურნეობების) სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის შეფასების მეთოდოლოგიის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 31 დეკემბრის №758 დადგენილებაში (www.matsne.gov.ge, 31/12/2014, 280120000.10.003.018378) შეტანილ იქნეს ცვლილება და:

1. **პირველი მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით**:

„ა) საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედმა სსიპ – სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტომ და სსიპ – საჯარო რეესტრის ეროვნულმა სააგენტომ, საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მმართველობის სფეროში შემავალმა სსიპ – შემოსავლების სამსახურმა, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრომ და საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრომ უზრუნველყონ მათ ხელთ არსებული მონაცემთა ბაზების და/ან საჭირო ინფორმაციის პერიოდულად მიწოდება საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს სახელმწიფო კონტროლს დაქვემდებარებული სსიპ – სოციალური მომსახურების სააგენტოსათვის (შემდგომში – სააგენტო), მხარეთა შორის გაფორმებული შეთანხმების შესაბამისად;“.

2. **დადგენილებით დამტკიცებული „სოციალურად დაუცველი ოჯახების (შინამეურნეობების) სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის შეფასების მეთოდოლოგიის“**:

ა) მე-7 მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მუხლი 7. შემოსავლების ინდექსის გამოთვლა

შემოსავლების ინდექსი გამოითვლება ფორმულით:

$C_4=K_{4,1}\ln(1+Y_{4,1})$,

სადაც:

ა) $K_{4,1}$ – არის კოეფიციენტი;

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

ბ) $Y_{4,I}$ – ოჯახის დეკლარაციის შევსების თვის წინა მეორე თვეში ოჯახის ყველა წევრის ჯამური პირადი ფულადი შემოსავლებისა (ხელფასისა და ყველა სხვა ანაზღაურების ჩათვლით) და გასულ 12 თვეში ოჯახის სხვა ჯამური ფულადი შემოსავლების 1/12 ნაწილის ჯამი.";

ბ) მე-14 მუხლის მე-2 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„2. კოეფიციენტების მნიშვნელობები განსხვავებული ტიპის დასახლებული პუნქტებისათვის განსაზღვრულია №2 ცხრილით:

ცხრილი №2

	კოეფიციენტები			
	დედაქალაქი	დიდი ქალაქი	სხვა ქალაქური ტიპის დასახლება	სოფლის ტიპის დასახლება
K0	2.306	2.665	3.883	3.713
K1,1	0.000	0.000	0.000	0.083
K2,1	0.000	0.000	0.000	0.229
K2,2	0.000	0.000	0.272	0.091
K2,3	0.000	0.000	0.054	0.039
K3,1	0,148	0,256	0.442	0.246
K3,2	0.000	0.000	0.000	0.344
K4,1	0,251	0,196	0.047	0.149
K5,1	0,275	0,302	0,218	0,176
K6,1	0,057	0,257	0.409	0.129
K6,2	0,122	0,064	0.000	0.000
K6,3	0.000	0.000	0.172	0.124
K6,4	0.000	0,120	0.000	0.073
K6,5	0.000	0.000	0.000	0.078
K7,1	0,176	0,129	0.191	0.206
K8,1	0.000	0.000	0.000	-0.121
K8,2	0.000	0.000	0.194	0.000
K8,3	0.000	0.000	0.281	0.100
K8,4	0.000	0.000	0.000	0.000
K8,5	0.000	0.000	0.265	0.000
K8,6	0.000	0.000	0.143	0.069
K8,7	0.000	0.000	0.371	-0.082
K8,8	0.000	0.000	0.636	-0.194
K8,9	0.000	0.000	0.000	0.000
K8,10	0.000	0.000	0.000	-0.247
K8,11	0.000	0.000	-0.281	0.000

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

K9,1	0,073	0.000	0.000	0.000
K9,2	0.000	0,148	0.000	0.109
K9,3	0,127	0.000	0.000	0.000
K10,1	0.000	0.000	0.120	0.000
K10,2	0.000	0.000	-0.225	-0.065
K10,3	0.022	0.023	0.000	0.037
K10,4	0.000	0,028	0.000	0.070.“;

გ) მე-15 მუხლის მე-7 პუნქტის „დ“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„დ) B – მინიმალური სამომხმარებლო კალათის ღირებულება (175 ლარი).“.

მუხლი 2

დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე და გავრცელდეს 2018 წლის 1 ივნისიდან შეფასებულ ოჯახებზე (ოჯახები, რომელთა ოჯახის დეკლარაცია შევსებულია 2018 წლის 1 ივნისსა და შემდგომ პერიოდში).

პრემიერ-მინისტრი

გიორგი კვირიკაშვილი

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

საქართველოს მთავრობის

დადგენილება №317

2018 წლის 5 ივნისიქ. თბილისი

მოთხოვნები სურსათთან შეხებისათვის განკუთვნილი მასალებისა და საგნების მიმართ

მუხლი 1

სურსათის/ცხოველის საკვების უვნებლობის, ვეტერინარიისა და მცენარეთა დაცვის კოდექსის 75-ე მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად, დამტკიცდეს თანდართული „მოთხოვნები სურსათთან შეხებისათვის განკუთვნილი მასალებისა და საგნების მიმართ“.

მუხლი 2

დადგენილება ამოქმედდეს 2024 წლის პირველი სექტემბრიდან.

პრემიერ-მინისტრი

გიორგი კვირიკაშვილი

მოთხოვნები სურსათთან შეხებისათვის განკუთვნილი მასალებისა და საგნების მიმართ

მუხლი 1. **ზოგადი დებულებები**

მოთხოვნები სურსათთან შეხებისათვის განკუთვნილი მასალებისა და საგნების მიმართ (შემდგომში – წესი) ადგენს მოთხოვნებს სურსათთან უშუალოდ ან არაპირდაპირი შეხებისათვის განკუთვნილი მასალებისა და საგნების მიმართ და აწესრიგებს ბიზნესოპერატორის მიერ მათი წარმოებისა და ბაზარზე განთავსების პირობებს.

მუხლი 2. **მიზანი და გამოყენების სფერო**

1. ეს წესი მიზნად ისახავს სურსათთან უშუალოდ ან არაპირდაპირი შეხებისათვის განკუთვნილი მასალებისა და საგნების შიდა ბაზრის ეფექტიანი ფუნქციონირების უზრუნველყოფას, ადამიანის ჯანმრთელობისა და მომხმარებელთა უფლებების დაცვას.

2. ამ წესით განსაზღვრული მოთხოვნები ვრცელდება სურსათთან უშუალოდ ან არაპირდაპირი შეხებისათვის განკუთვნილ მასალებსა და საგნებზე, მათ შორის, აქტიურ მასალებსა და საგნებზე, ასევე „გონიერ“ მასალებსა და საგნებზე, რომლებიც დასრულებული ფორმით გამიზნულია ერთ-ერთი დანიშნულებით გამოყენებისათვის:

ა) განკუთვნილია სურსათთან შეხებისათვის;

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

ბ) უკვე შეხებაშია სურსათთან და განკუთვნილი იყო ამ მიზნისათვის;

გ) ჩვეულებრივ, ნორმალურ ან წინასწარ პროგნოზირებად პირობებში გამოყენებისას არსებობს ალბათობა იმისა, რომ ისინი შეხებაში მოვიდნენ სურსათთან ან მოხდეს მათი კომპონენტების სურსათში/სურსათზე გადატანა.

3. ამ წესით განსაზღვრული მოთხოვნები არ ვრცელდება:

ა) მასალებსა და საგნებზე, რომლებიც წარმოდგენილია, როგორც ანტიკვარული მასალა და საგანი;

ბ) დამცავ მასალებსა და გარსაფარებზე, როგორებიცაა ყველის ქერქის, ხორცის პროდუქტების ან ხილის დამცავი გარსაფარები, რომლებიც წარმოადგენენ სურსათის შემადგენელ ნაწილს და გამიზნულია სურსათთან ერთად მოხმარებისათვის;

გ) კერძო და კომუნალური წყალმომარაგების სტაციონარულ მოწყობილობებზე.

მუხლი 3. ტერმინთა განმარტებები

1. ამ წესის მიზნებისათვის გამოყენებულ ტერმინებს აქვს შემდეგი მნიშვნელობა:

ა) სურსათთან შეხებისათვის განკუთვნილი აქტიური მასალა და საგანი (შემდგომში – აქტიური მასალები და საგნები) – მასალა და საგანი, რომლებიც განკუთვნილია შეფუთული სურსათის ვარგისიანობის ვადის გახანგრძლივების ან შეფუთული სურსათის მდგომარეობის შენარჩუნებისა ან გაუმჯობესებისათვის და რომელიც მიზნობრივად უერთდება ან შთანთქავს შეფუთულ სურსათში ან სურსათის მიერ შეფუთვის შიგნით არსებულ გარემოში გამოყოფილი ნივთიერებების კომპონენტებს;

ბ) სურსათთან შეხებისათვის განკუთვნილი „გონიერი“ მასალა და საგანი (შემდგომში – „გონიერი“ მასალა და საგანი) – მასალა და საგანი, რომლებიც აკონტროლებს შეფუთული სურსათის ან სურსათის ირგვლივ არსებულ მდგომარეობას შეფუთვის შიგნით;

გ) ბაზარზე განთავსება – ბიზნესოპერატორის მიერ სურსათთან შეხებისათვის განკუთვნილი მასალისა და საგნის განთავსება რეალიზაციის მიზნით, მათ შორის, გაყიდვის ან სხვა ფორმით მიწოდების შესახებ წინადადების შეთავაზება, სასყიდლით ან უსასყიდლოდ მიწოდება, აგრეთვე რეალიზაცია, დისტრიბუცია და მიწოდების სხვა ფორმები.

2. ამ წესის მიზნებისთვის ასევე გამოიყენება სურსათის/ცხოველის საკვების უვნებლობის, ვეტერინარიისა და მცენარეთა დაცვის კოდექსითა და სფეროს მარეგულირებელი სხვა ნორმატიული აქტებით განსაზღვრული ტერმინები.

მუხლი 4. ზოგადი მოთხოვნები

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

1. მასალა და საგანი, მათ შორის, აქტიური მასალა და საგანი და „გონიერი“ მასალა და საგანი, დამზადებული უნდა იქნეს ისეთი საწარმოო პრაქტიკის გამოყენებით, რომელიც უზრუნველყოფს, რომ მათი ჩვეულებრივ, ნორმალურ პირობებში ან წინასწარ პროგნოზირებად პირობებში გამოყენებისას მათი კომპონენტები არ მოხვდნენ სურსათში იმ რაოდენობით, რომ მოხდეს ჩამოთვლილთაგან ერთ-ერთი:

ა) საფრთხე შეუქმნას ადამიანის ჯანმრთელობას;

ბ) გამოიწვიოს სურსათის შემადგენლობის არასასურველი ცვლილებები;

გ) გამოიწვიოს სურსათის ორგანოლეპტიკური მახასიათებლების გაუარესება.

2. მასალისა და საგნის ეტიკეტირებამ, რეკლამამ და წარდგენამ შეცდომაში არ უნდა შეიყვანოს მომხმარებელი.

მუხლი 5. სპეციალური მოთხოვნები აქტიური მასალისა და საგნის და „გონიერი“ მასალისა და საგნის მიმართ

1. აქტიურმა მასალებმა და საგნებმა გამოყენებისას, ამ წესის მე-4 მუხლის პირველი პუნქტით განსაზღვრულ შემთხვევებში, შესაძლებელია, გამოიწვიოს სურსათის შემადგენლობის ან ორგანოლეპტიკური მახასიათებლების ცვლილება იმ პირობით, რომ ეს ცვლილებები შესაბამისობაში იქნება საქართველოს კანონმდებლობით, მათ შორის, „საკვებდანამატების შესახებ ტექნიკური რეგლამენტის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2016 წლის 23 დეკემბრის №585 დადგენილებით განსაზღვრულ მოთხოვნებთან.

2. ნივთიერებები, რომლებიც სპეციალურად ემატება აქტიურ მასალებსა და საგნებს, სურსათში ან სურსათის ირგვლივ არსებულ არეში გამოყოფის მიზნით, უნდა აკმაყოფილებდეს ამ წესით განსაზღვრულ მოთხოვნებს და მიჩნეული უნდა იქნეს ინგრედიენტად, საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული მოთხოვნების გათვალისწინებით.

3. აქტიურმა მასალებმა და საგნებმა არ უნდა გამოიწვიოს სურსათის შემადგენლობის ან მისი ორგანოლეპტიკური მახასიათებლების იმგვარი ცვლილება (მაგალითად, სურსათის გაფუჭების დაფარვა-შენიღბვა), რომელიც შეცდომაში შეიყვანს მომხმარებელს.

4. „გონიერი“ მასალა და საგანი არ უნდა იძლეოდეს სურსათის მდგომარეობის შესახებ ისეთ ინფორმაციას, რომელიც შეცდომაში შეიყვანს მომხმარებელს.

5. აქტიური და „გონიერი“ მასალა და საგანი, რომლებიც უკვე შეხებაშია სურსათთან, სათანადოდ უნდა იქნეს ეტიკეტირებული, რათა მომხმარებელმა შეძლოს მათი იმ ნაწილის იდენტიფიცირება, რომელიც არ არის განკუთვნილი სურსათად მოხმარებისათვის.

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

6. აქტიური და „გონიერი“ მასალა და საგანი სათანადოდ უნდა იქნეს ეტიკეტირებული, რათა შესაძლებელ იქნეს აქტიური მასალისა და საგნის და/ან „გონიერი“ მასალისა და საგნის დანიშნულების განსაზღვრა.

მუხლი 6. სპეციალური ზომები მასალებისა და საგნების ჯგუფებისათვის

1. დანართ №1-ით – „მასალის და საგნის ჯგუფების ჩამონათვალი, რომლებზეც შესაძლებელია გავრცელდეს სპეციალური ზომები“ განსაზღვრული მასალებისა და საგნების ჯგუფებთან დაკავშირებით, და, საჭიროების შემთხვევაში, ამ მასალისა/მასალებისა და საგნ(ებ)ის კომბინაციასთან ან უტილიზებულ მასალებსა და საგნებთან დაკავშირებით, რომლებიც გამოიყენება სურსათთან შეხებისათვის განკუთვნილი მასალისა და საგნის წარმოებისათვის, შესაძლებელია, მიღებული იქნეს სპეციალური ზომები ან განხორციელდეს შესაბამისი ცვლილებები.

2. ამ მუხლის პირველი პუნქტით განსაზღვრული სპეციალური ზომები შეიძლება მოიცავდეს:

ა) ნივთიერებების, რომლებიც ავტორიზებულია მასალისა და საგნის წარმოებაში გამოყენებისათვის, ჩამონათვალს;

ბ) სურსათთან შეხებისათვის განკუთვნილი აქტიური და „გონიერი“ მასალისა და საგნის შემადგენლობაში ავტორიზებული ნივთიერებების ჩამონათვალს, ან სურსათთან შეხებისათვის განკუთვნილ აქტიურ და „გონიერ“ მასალებსა და საგნებს და, საჭიროების შემთხვევაში, იმ ნივთიერებების და/ან მასალისა და საგნის გამოყენების სპეციალურ პირობებს, რომლის შემადგენლობაშიც შედიან ეს ნივთიერებები და/ან მასალები;

გ) ამ პუნქტის „ა“ ქვეპუნქტით განსაზღვრული ნივთიერებების სისუფთავის სტანდარტებს;

დ) ამ პუნქტის „ა“ ქვეპუნქტით განსაზღვრული ნივთიერებების გამოყენების სპეციალურ პირობებს და/ან იმ მასალისა და საგნის გამოყენების სპეციალურ პირობებს, რომელშიც ხდება მათი გამოყენება;

ე) სპეციალურ შეზღუდვებს გარკვეული კომპონენტების ან კომპონენტთა ჯგუფების სურსათის შემადგენლობაში ან სურსათის ზედაპირზე მიგრაციასთან დაკავშირებით, ამ კომპონენტების სხვა წყაროებიდან ზემოქმედების გათვალისწინებით;

ვ) გარკვეული კომპონენტების ან კომპონენტთა ჯგუფების სურსათის შემადგენლობაში ან სურსათის ზედაპირზე მიგრაციასთან დაკავშირებით სრულ შეზღუდვებს;

ზ) დებულებებს, რომლის მიზანია ადამიანის ჯანმრთელობის დაცვა იმ საფრთხეებისაგან, რომლებიც წარმოიქმნება მასალებსა და საგნებთან ორალურად შეხებისას;

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

თ) სხვა წესებს, რომლებიც უზრუნველყოფს ამ წესის მე-4 და მე-5 მუხლებთან შესაბამისობას;

ი) ძირითად წესებს ამ პუნქტის „ა“ – „თ“ ქვეპუნქტებთან შესაბამისობის შესამოწმებლად;

კ) ნიმუშის აღების წესებსა და ანალიზის მეთოდებს ამ პუნქტის „ა“ – „თ“ ქვეპუნქტებთან შესაბამისობის შესამოწმებლად;

ლ) სპეციალურ დებულებებს, მასალისა და საგნის მიკვლევადობის უზრუნველყოფისათვის, მათ შორის, დებულებებს, რომლებიც განსაზღვრავს ჩანაწერების შენახვის ვადებს, ან დებულებებს, რომელთა საფუძველზეც, საჭიროების შემთხვევაში, შესაძლებელია მე-12 მუხლით განსაზღვრული მოთხოვნების ცვლილება;

მ) დამატებით დებულებებს აქტიური და „გონიერი“ მასალისა და საგნის ეტიკეტირებასთან დაკავშირებით;

ნ) დებულებებს, რომლებიც განსაზღვრავს ავტორიზებული ნივთიერებების, პროცესების ან მასალების ან საგნების საჯაროდ ხელმისაწვდომი რეესტრისათვის დაწესებულ მოთხოვნებს;

ო) სპეციალურ პროცედურულ წესებს, რომლებიც, აუცილებლობის შემთხვევაში, არეგულირებენ ამ წესის მე-7 და მე-8 მუხლებით განსაზღვრულ პროცედურებს ან შესაბამისობაში მოჰყავს აღნიშნული პროცედურები გარკვეული ტიპის მასალებისა და საგნების ავტორიზაციის და/ან მათი წარმოებისათვის გამოყენებული პროცესების, მათ შორის, აუცილებლობის შემთხვევაში, პროცედურებს ნივთიერების, პროცესის ან მასალის ან საგნების ინდივიდუალურ ავტორიზაციასთან დაკავშირებით, განმცხადებელთან დაკავშირებული გადაწყვეტილების საფუძველზე.

მუხლი 7. საქართველოში ავტორიზებული სურსათთან შეხებისათვის განკუთვნილი მასალებისა და საგნების ჯგუფები

1. საქართველოში ბაზარზე განთავსებისა და სურსათთან შეხებისათვის დასაშვებია მხოლოდ დანართ №1-ით განსაზღვრული მასალებისა და საგნების ჯგუფების გამოყენება.

2. გარდა ამ მუხლის პირველი პუნქტით განსაზღვრული მასალებისა და საგნების ჯგუფებისა, ბაზარზე განთავსებისა და სურსათთან შეხებისათვის დასაშვებია გამოყენებულ იქნეს სხვა ნივთიერება, ამ წესის მე-8 მუხლის მოთხოვნათა გათვალისწინებით.

3. ამ მუხლის მე-2 პუნქტით განსაზღვრული ნივთიერების გამოყენების ავტორიზაციისათვის საჭიროა შესაბამისი განაცხადის წარდგენა სსიპ – სურსათის ეროვნულ სააგენტოში (შემდგომში – სააგენტო), მე-8 მუხლით განსაზღვრული მოთხოვნების შესაბამისად.

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

4. ამ მუხლის მე-2 პუნქტით განსაზღვრული ნივთიერების ავტორიზაცია, მე-6 მუხლით განსაზღვრული მოთხოვნების გათვალისწინებით, დასაშვებია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ სათანადოდ და საკმარისი მტკიცებულებებით დადასტურებულია, რომ სპეციალური ზომებით განსაზღვრულ გამოყენების პირობებში, მზა მასალა ან საგანი აკმაყოფილებს მე-4 და მე-5 მუხლებით განსაზღვრულ მოთხოვნებს.

მუხლი 8. მოთხოვნები ახალი ნივთიერების ავტორიზაციისათვის

1. მე-7 მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, სურსათთან შეხებისათვის განკუთვნილი სხვა ნივთიერების ავტორიზაციისათვის საჭიროა, დაინტერესებულმა მხარემ განაცხადით მიმართოს სააგენტოს, რომელსაც თან უნდა ახლდეს:

ა) განმცხადებლის სახელი, გვარი/სახელწოდება და მისამართი/იურიდიული მისამართი;

ბ) ტექნიკური დოკუმენტაცია (დოსიე), რომელშიც მოცემულია ამ ნივთიერების უვნებლობის შეფასების რეკომენდაციებთან დაკავშირებული ინფორმაცია. ეს ინფორმაცია გამოქვეყნებული უნდა იქნეს სააგენტოს მიერ;

გ) ტექნიკური დოკუმენტაციის (დოსიე) რეზიუმე.

2. სააგენტო ვალდებულია:

ა) წერილობით დაუდასტუროს განმცხადებელს განაცხადის მიღება, შესაბამისი თარიღის მითითებით;

ბ) განაცხადის მიღებიდან 6 (ექვსი) თვის განმავლობაში გამოიტანოს გადაწყვეტილება, თუ რამდენად შეესაბამება ნივთიერება, განსაზღვრულ პირობებში მისი მასალებში ან საგნებში გამოყენებისას, მე-4 და, საჭიროების შემთხვევაში, მე-5 მუხლებით განსაზღვრულ მოთხოვნებს.

3. დასაშვებია, სააგენტომ, სათანადო განმარტებების საფუძველზე, რომელსაც იგი წარუდგენს განმცხადებელს, ამ მუხლის მე-2 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტით განსაზღვრული ვადა გაახანგრძლივოს არა უმეტეს 6 (ექვსი) თვით.

4. სააგენტო უფლებამოსილია, საჭიროების შემთხვევაში, განმცხადებელს მოსთხოვოს განაცხადთან დაკავშირებული დამატებითი ინფორმაცია და განმარტებები ამ მუხლის მე-2 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტით განსაზღვრული ვადის განმავლობაში.

5. ამ მუხლის მე-4 პუნქტით განსაზღვრული დამატებითი ინფორმაციის მოთხოვნის ამ მუხლის მე-2 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტით განსაზღვრული ვადა გახანგრძლივდება დამატებითი ინფორმაციის წარდგენის შესაბამისად.

6. სააგენტოს მიერ ახალი ნივთიერების ავტორიზაციის შესახებ გადაწყვეტილების მისაღებად საჭიროა:

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

ა) გადამოწმებულ იქნეს განაცხადისა და დოკუმენტების შესაბამისობა ამ მუხლის პირველი პუნქტით განსაზღვრულ მოთხოვნებთან;

ბ) ნივთიერების შესაბამისობა მე-4 და, საჭიროების შემთხვევაში, მე-5 მუხლებით განსაზღვრულ უვნებლობასთან დაკავშირებულ მოთხოვნებთან.

7. სააგენტოს მიერ ნივთიერების ავტორიზაციასთან დაკავშირებით დადებითი გადაწყვეტილების შემთხვევაში მითითებულ უნდა იქნეს:

ა) ნივთიერების დასახელება, მისი მახასიათებლები;

ბ) საჭიროების შემთხვევაში, რეკომენდაციები ყველა იმ პირობისა და შეზღუდვის შესახებ, რომლებიც ამ ნივთიერების და/ან მისი მასალებსა და/ან საგნებში გამოყენებასთან არის დაკავშირებული;

გ) წარდგენილი ანალიზის მეთოდის გამოყენების მიზანშეწონილობა კონტროლის განხორციელებისას.

8. სააგენტო ვალდებულია:

ა) გადაწყვეტილების მიღების შესახებ ინფორმაცია მიაწოდოს განმცხადებელს;

ბ) უზრუნველყოს მიღებული გადაწყვეტილების საჯაროობა ამ წესის მე-14 მუხლით განსაზღვრული მოთხოვნების გათვალისწინებით.

9. გარდა ამ მუხლის მე-8 პუნქტით განსაზღვრული მოთხოვნისა, სააგენტო ვალდებულია, უზრუნველყოს ავტორიზაციასთან დაკავშირებული განაცხადის, განმცხადებლის მიერ წარდგენილი დამატებითი ინფორმაციის საჯაროობა, გარდა საქართველოს კანონმდებლობითა და ამ წესის მე-14 მუხლით განსაზღვრული კონფიდენციალური ინფორმაციისა.

მუხლი 9. ბიზნესოპერატორის ვალდებულებები

1. ბიზნესოპერატორი, რომელიც გამოიყენებს წესის მე-8 მუხლით განსაზღვრულ ავტორიზებულ ნივთიერებას ან ავტორიზებული ნივთიერების შემცველ მასალებს ან საგნებს, ვალდებულია, დაიცვას ამ ნივთიერების გამოყენებასა და შეზღუდვებთან დაკავშირებული ყველა მოთხოვნა.

2. განმცხადებელი ან ბიზნესოპერატორი, რომელიც გამოიყენებს მე-8 მუხლით განსაზღვრულ ნივთიერებას ან ავტორიზებული ნივთიერების შემცველ მასალებს ან საგნებს, ვალდებულია, დაუყოვნებლივ მიაწოდოს სააგენტოს ყველა სახის ახალი სამეცნიერო ან ტექნიკური ინფორმაცია, რომელმაც შესაძლებელია გავლენა მოახდინოს ადამიანის ჯანმრთელობასთან დაკავშირებით ავტორიზებული ნივთიერების უვნებლობის შეფასებაზე.

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

3. ამ მუხლის მე-2 პუნქტით წარდგენილი ინფორმაციის საფუძველზე, სააგენტო, საჭიროების შემთხვევაში, ვალდებულია, მოახდინოს შეფასების გადახედვა.

4. იმ შემთხვევაში, თუ განმცხადებელს ან ბიზნესოპერატორს, რომელიც იყენებს სააგენტოს მიერ ავტორიზებულ ნივთიერებას ან ავტორიზებული ნივთიერების შემცველ მასალებს ან საგნებს, სურს ნივთიერების ავტორიზაციის ცვლილება, იგი ვალდებულია, დაუყოვნებლივ მიმართოს სააგენტოს მე-8 მუხლის პირველი პუნქტით განსაზღვრული მოთხოვნების შესაბამისად.

5. განაცხადს თან უნდა ერთოდეს:

ა) მითითება ნივთიერების ავტორიზაციის განაცხადის ორიგინალზე;

ბ) ახალი ინფორმაციის შემცველი ტექნიკური დოკუმენტაცია;

გ) ახალი ინფორმაციის შემცველი ტექნიკური დოკუმენტაციის რეზიუმე.

6. სააგენტო ვალდებულია, შეაფასოს გადაწყვეტილებისა და ავტორიზაციის პირობების შესაბამისობა მე-8 მუხლის მე-2 – მე-8 პუნქტებით განსაზღვრულ მოთხოვნებთან და განსაზღვროს ნივთიერების ავტორიზაციასთან, ან ავტორიზაციის პირობებთან, ან შეზღუდვებთან, ან გადავადებასთან, ან გაუქმებასთან დაკავშირებული გადაწყვეტილება.

მუხლი 10. ეტიკეტირება

1. მე-6 მუხლით განსაზღვრული მოთხოვნების გათვალისწინებით, მასალისა და საგნის ჯგუფებს, რომლებიც ჯერ კიდევ არ არიან სურსათთან შეხებაში, ბაზარზე განთავსებისას თან უნდა ახლდეს:

ა) სიტყვები (მინიშნება) – „განკუთვნილია სურსათთან შეხებისათვის“ ან გამოყენებასთან დაკავშირებული სხვა სახის მინიშნება, მაგალითად, ყავის აპარატი, ღვინის ბოთლი, სუფრის კოვზი ან დანართ №2-ით განსაზღვრული სიმბოლო (აღნიშვნა);

ბ) საჭიროების შემთხვევაში, სპეციალური ინსტრუქციები, რომლებიც დაცული უნდა იქნეს მათი სათანადოდ, უვნებელი გამოყენებისათვის უზრუნველსაყოფად;

გ) დასახელება ან სავაჭრო დასახელება, ასევე ყველა შემთხვევაში, იმ ბიზნესოპერატორის მისამართი ან ინფორმაცია რეგისტრაციის შესახებ, რომელიც ახორციელებს წარმოებას, გადამუშავებას, რეალიზაციას და რომელიც პასუხისმგებელია მასალისა და საგნის ჯგუფების ბაზარზე განთავსებაზე;

დ) მე-12 მუხლით განსაზღვრული მიკვლევადობის განხორციელებისათვის სათანადო ეტიკეტი ან აღნიშვნა;

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

ე) აქტიური მასალებისა და საგნების შემთხვევაში, ინფორმაცია მათი ავტორიზაციის შესახებ და სხვა ანალოგიური (რელევანტური) ინფორმაცია, როგორიცაა აქტიური კომპონენტების მიერ გამოყოფილი ნივთიერებების დასახელება და რაოდენობა, რათა სურსათის ბიზნესოპერატორებმა, რომლებიც გამოიყენებენ ამ მასალებსა და საგნებს, დააკმაყოფილონ საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული სურსათის ეტიკეტირებასთან დაკავშირებული მოთხოვნები.

2. ამ მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტით განსაზღვრული მოთხოვნები არ არის სავალდებულო ისეთი საგნებისათვის, რომლებიც, თავიანთი თავისებურებებიდან გამომდინარე, აშკარად განკუთვნილია სურსათთან შეხებისათვის.

3. ამ მუხლის პირველი პუნქტით განსაზღვრული ინფორმაცია უნდა იყოს შესამჩნევი, ადვილად გასარკვევი, მკაფიო და არ უნდა იშლებოდეს.

4. დაუშვებელია მასალისა და საგნის ბაზარზე განთავსება, თუ ამ მუხლის პირველი პუნქტის „ა“, „ბ“ და „ე“ ქვეპუნქტებით განსაზღვრული ინფორმაცია არ არის წარდგენილი ადვილად გასაგებად, ქართულ ენაზე.

5. დასაშვებია, ამ მუხლის პირველი პუნქტის „ა“, „ბ“ და „ე“ ქვეპუნქტებით განსაზღვრული ინფორმაცია, გარდა ამ მუხლის მე-4 პუნქტით განსაზღვრული მოთხოვნისა, წარდგენილ იქნეს ევროკავშირის ოფიციალური ენებიდან ერთ-ერთ ენაზეც.

6. ამ მუხლის მე-4 და მე-5 პუნქტებით დადგენილი მოთხოვნები არ გამორიცხავს მონაცემების წარდგენას რამდენიმე ენაზე.

7. საცალო ვაჭრობის ეტაპზე ამ მუხლის პირველი პუნქტით განსაზღვრული ინფორმაცია განთავსებული უნდა იქნეს ჩამოთვლილთაგან ერთ-ერთზე:

ა) მასალებზე ან საგნებზე ან მათ შეფუთვაზე;

ბ) მასალებსა და საგნებზე ან მათ შეფუთვაზე მიმაგრებულ ეტიკეტზე;

გ) მასალებთან ან საგნებთან ახლოს ისე, რომ მომხმარებელმა ადვილად შეძლოს ამ მუხლის პირველი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტით განსაზღვრული ინფორმაციის დანახვა;

დ) ამ პუნქტის „გ“ ქვეპუნქტით განსაზღვრული მოთხოვნები გამოიყენება იმ შემთხვევაში, თუ, ტექნიკური მიზეზების გამო, ამ ინფორმაციის ან ეტიკეტის მიმაგრება შეუძლებელია მასალებსა და საგნებზე წარმოებისა და რეალიზაციის ეტაპებზე.

8. გარდა საცალო ვაჭრობისა, ამ მუხლის პირველი პუნქტით განსაზღვრული ინფორმაცია განთავსებული უნდა იყოს ჩამოთვლილთაგან ერთ-ერთზე:

ა) თანმხლებ დოკუმენტაციაში;

ბ) ეტიკეტზე ან შეფუთვაზე;

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

გ) უშუალოდ მასალებსა და საგნებზე.

9. ამ მუხლის პირველი პუნქტის „ა“, „ბ“ და „ე“ ქვეპუნქტებით განსაზღვრულ ინფორმაციასთან დაკავშირებული მოთხოვნები ვრცელდება იმ მასალებსა და საგნებზე, რომლებიც:

ა) აკმაყოფილებს მე-4 მუხლით და, საჭიროების შემთხვევაში, მე-5 მუხლით განსაზღვრულ მოთხოვნებს;

ბ) მე-6 მუხლით განსაზღვრულ სპეციალურ ზომებს.

მუხლი 11. შესაბამისობის დეკლარაცია

მასალებსა და საგნებს, რომლებზეც ვრცელდება ამ წესის მე-6 მუხლით განსაზღვრული სპეციალური ზომები, თან უნდა ახლდეს ამ მუხლით განსაზღვრულ მოთხოვნებთან შესაბამისობის დამადასტურებელი წერილობითი დოკუმენტი (დეკლარაცია), რომელიც უნდა წარედგინოს სააგენტოს მოთხოვნისთანავე.

მუხლი 12. მიკვლევადობა

1. საქართველოს კანონმდებლობის თანახმად, მასალისა და საგნის მიკვლევადობა უზრუნველყოფილი უნდა იქნეს წარმოების, გადამუშავებისა და დისტრიბუციის ეტაპებზე, რათა შესაძლებელ იქნეს მასალისა და საგნის ბაზარზე განთავსების შეზღუდვასთან/აკრძალვასთან ან ბაზრიდან მის ამოღებასთან დაკავშირებით სათანადო ზომების მიღება და მომხმარებელთა უფლებების დაცვა.

2. მიკვლევადობის განსახორციელებლად ბიზესოპერატორს დანერგილი უნდა ჰქონდეს სისტემები და პროცედურები, აწარმოებდეს შესაბამის დოკუმენტაციასა და ჩანაწერებს, რომლებიც საშუალებას იძლევა განხორციელდეს იმ საწარმოთა იდენტიფიკაცია, საიდანაც გამოდის და სადაც ხდება მასალისა და საგნის მიწოდება, საჭიროების შემთხვევაში, ამ წესით განსაზღვრული მასალისა და საგნის წარმოებაში გამოყენებული ნივთიერებების იდენტიფიკაცია. ეს ინფორმაცია უნდა წარედგინოს სააგენტოს მოთხოვნისთანავე.

3. საგნები და მასალები, რომლებიც განთავსებულია ბაზარზე, იდენტიფიკაციისა და მიკვლევადობის უზრუნველყოფისათვის ეტიკეტირებული უნდა იქნეს ამ წესისა და საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული მოთხოვნების შესაბამისად ან უნდა ახლდეს სათანადო დოკუმენტაცია ან ინფორმაცია.

მუხლი 13. დამცავი ზომები

1. იმ შემთხვევაში, თუ არსებობს ახალი ინფორმაცია ან არსებული ინფორმაციის ხელახალი შეფასების დასკვნის საფუძველზე, საგნები და მასალები რისკს უქმნის ადამიანის ჯანმრთელობას, მიუხედავად იმისა, რომ მასალა და საგანი შეესაბამებიან სპეციალური ზომებით განსაზღვრულ მოთხოვნებს, მათი გამოყენება შესაძლებელია დროებით შეიზღუდოს ან შეჩერდეს.

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

2. ამ მუხლის პირველი პუნქტით განსაზღვრული მოთხოვნების შესაბამისად, ადამიანის ჯანმრთელობის დაცვის უზრუნველსაყოფად, სპეციალურ ზომებში უნდა განხორციელდეს შესაბამისი ცვლილებები.

მუხლი 14. კონფიდენციალურობა

1. განმცხადებელს შეუძლია, მიუთითოს, მე-8 მუხლის პირველი და მე-3 პუნქტებითა და მე-9 მუხლის მე-5 პუნქტით განსაზღვრული წარდგენილი ინფორმაციიდან რომელი უნდა იყოს მიჩნეული კონფიდენციალურ ინფორმაციად, რომლის საჯაროობამ შესაძლებელია, სათანადო ზიანი მიაყენოს მის კონკურენტუნარიანობას. ამ შემთხვევაში, წარდგენილი უნდა იქნეს საფუძველი, რომელიც დაექვემდებარება შემოწმებას.

2. კონფიდენციალურად არ უნდა იქნეს მიჩნეული:

ა) განმცხადებლის დასახელება და მისამართი, ნივთიერების ქიმიური სახელწოდება;

ბ) ნივთიერების უვნებლობის შეფასებასთან დაკავშირებული ინფორმაცია;

გ) ანალიზის მეთოდი ან მეთოდები.

3. სააგენტო, განმცხადებელთან შეთანხმებით, განსაზღვრავს, რომელი ინფორმაცია უნდა იქნეს მიჩნეული კონფიდენციალურად და გადაწყვეტილების შესახებ აცნობებს განმცხადებელს.

4. სააგენტომ უნდა მიიღოს აუცილებელი ზომები, რათა უზრუნველყოფილ იქნეს ამ წესით განსაზღვრული ინფორმაციის კონფიდენციალურობა, გარდა საჯარო ინფორმაციისა, რომელიც უნდა მიეწოდოს მომხმარებელს ჯანმრთელობის დაცვისათვის.

5. იმ შემთხვევაში, თუ განმცხადებელი უკან გამოიხმობს ან უკვე გამოიხმო განაცხადი, სააგენტოს მიერ უზრუნველყოფილი უნდა იქნეს წარდგენილი კომერციული და საწარმოო ინფორმაციის, მათ შორის, კვლევებსა და განვითარებასთან დაკავშირებული ინფორმაციის, ასევე იმ კონფიდენციალური ინფორმაციის კონფიდენციალურობა, რომელთან დაკავშირებითაც ვერ მოხდა სააგენტოსა და განმცხადებლის შეთანხმება.

მუხლი 15. არსებული ინფორმაციის გამოყენება

განმცხადებლის თანხმობის შემთხვევაში, შესაძლებელია, მე-8 მუხლის პირველი და მე-3 პუნქტებითა და მე-9 მუხლის მე-5 პუნქტით განსაზღვრული ინფორმაცია გამოყენებულ იქნეს სხვა განმცხადებლის მიერ იმ პირობით, რომ სააგენტოს მიერ მიღებული გადაწყვეტილებით, ეს ნივთიერება პირველად განაცხადში მითითებული ნივთიერების სისუფთავისა და მინარევების ანალოგიურია.

მუხლი 16. სახელმწიფო კონტროლი

მასალისა და საგნის სახელმწიფო კონტროლი ხორციელდება საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული მოთხოვნების შესაბამისად.

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

danarTi #1

masalis da sagnis jgufebis CamonaTvali, romlebzec SesaZlebelia gavrceldes specialuri zomebi

1. aqtiuri da `gonieri~ masala da sagani;
2. adgeziuri nivTierebebi da masalebi;
3. keramika;
4. korpi;
5. rezinis masala da sagani;
6. mina;
7. ionmimocvliTi fisebi;
8. liTonebi da Senadnobebi;
9. qaRaldi da muyao;
10. plastmasi;
11. sabeWdi saRebavi;
12. regenirebuli celuloza;
13. silikoni;
14. qsovili;
15. laqi da safari;
16. cvili;
17. xis masala da sagani.

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

danarTi #2

simbolo - aRniSvna

საქართველოს ფინანსთა მინისტრის

ბრძანება №208

2018 წლის 31 მაისი, ქ. თბილისი

„საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე საქონლის გადაადგილებისა და გაფორმების შესახებ ინსტრუქციის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2012 წლის 26 ივლისის №290 ბრძანებაში ცვლილების შეტანის შესახებ

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, **ვბრძანებ**:

მუხლი 1

„საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე საქონლის გადაადგილებისა და გაფორმების შესახებ ინსტრუქციის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2012 წლის 26 ივლისის №290 ბრძანებით (ვებგვერდი, 31/07/2012, სარეგისტრაციო კოდი: 230210000.22.033.016424) დამტკიცებული ინსტრუქციის მე-20 მუხლის მე-9 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

„9. საქართველოს საგადასახადო კოდექსის 199-ე მუხლის „დ.დ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული შეღავათის მისაღებად, საქონელი შემოტანილი უნდა იქნეს საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე პირის შემოსვლიდან 90 კალენდარული დღის განმავლობაში, ხოლო საბაჟო დეკლარაცია წარედგინება სასაქონლო ოპერაციის განსაზღვრისათვის ამ მუხლით გათვალისწინებულ ვადებში. აღნიშნული შეღავათი გავრცელდება იმ საქონელზეც, რომელიც გადაადგილდება სხვადასხვა სატრანსპორტო საშუალებით და დეკლარირდება სხვადასხვა საბაჟო დეკლარაციით, თუ საქონლის საერთო რაოდენობა და ღირებულება არ აღემატება მითითებული ქვეპუნქტით განსაზღვრულ რაოდენობასა და ღირებულებას.“.

მუხლი 2

ეს ბრძანება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საქართველოს ფინანსთა მინისტრი

მამუკა ბახტაძე

საქართველოს ფინანსთა მინისტრის

ბრძანება №209

2018 წლის 31 მაისი, ქ. თბილისი

„მიმდინარე კონტროლის პროცედურების ჩატარების, სასაქონლო-მატერიალურ ფასეულობათა ჩამოწერის, აღიარებული საგადასახადო დავალიანების დაფარვის, საგადასახადო დავალიანების გადახდევინების უზრუნველყოფის ღონისძიებების განხორციელების, სამართალდარღვევათა საქმისწარმოების წესის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2010 წლის 31 დეკემბრის №994 ბრძანებაში ცვლილების შეტანის შესახებ

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, **ვბრძანებ**:

მუხლი 1

„მიმდინარე კონტროლის პროცედურების ჩატარების, სასაქონლო-მატერიალურ ფასეულობათა ჩამოწერის, აღიარებული საგადასახადო დავალიანების დაფარვის, საგადასახადო დავალიანების გადახდევინების უზრუნველყოფის ღონისძიებების განხორციელების, სამართალდარღვევათა საქმისწარმოების წესის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2010 წლის 31 დეკემბრის №994 ბრძანებით (სსმ III, 31.12.2010, №172, სარეგისტრაციო კოდი: 200090000.22.033.016105) დამტკიცებული წესის:

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

1. 81-ე **მუხლის**:

ა) **მე-4 და მე-5 პუნქტები ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით**:

„4. საგადასახადო ორგანოები ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა შესახებ ოქმებს ადგენენ საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 44^4, 66^4, 91^2, 91^3 მუხლის პირველი ნაწილით, 99-ე, 127^1 მუხლის მე-2 ნაწილით, 129^1, 153-ე, 153^1, 153^5, 153^7, 153^8, 154^1, 154^2, 155^1 და 155^2 მუხლებით, 155^3 მუხლის პირველი-მე-10 და მე-13 - მე-14 ნაწილებით, 155^5, 155^6 მუხლის პირველი, მე-2 და მე-4 ნაწილებით, 157-ე , 157^1 – 157^4, 158-ე, 158^1, 159^4, 163-ე, 164-ე, 164^4, 165-ე–165^3, 165^{10}, 171^5, 177^{14}, 178-ე, 179^3, 191^1, 194-ე, 195-ე მუხლებითა და „თამბაქოს კონტროლის შესახებ“ საქართველოს კანონის 10^2 მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებულ სამართალდარღვევებზე.

5. საგადასახადო ორგანო განიხილავს იმ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა საქმეებს, რომლებიც გათვალისწინებულია საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 127^1 მუხლის მე-2 ნაწილით, 129^1, 153^7 და 153^8 მუხლებით, 155^3 მუხლის პირველი-მე-10 ნაწილებით, 155^5 მუხლით, 155^6 მუხლის პირველი და მე-2 ნაწილებით, 157-ე , 165-ე და 165^{10} მუხლებით, 171^5 მუხლის მე-3 და მე-7 ნაწილებით, 177^{14}, 179^3, 191^1, 194-ე, 195-ე მუხლებითა და „თამბაქოს კონტროლის შესახებ“ საქართველოს კანონის 10^2 მუხლის მე-2 პუნქტით.“;

ბ) **მე-7 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით**:

„7. ამ მუხლის მე-5 პუნქტით გათვალისწინებულ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევებზე, თუ სამართალდამრღვევი სადავოდ არ ხდის ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ჩადენის ფაქტს, აღნიშნულის დასადასტურებლად ოქმის შესაბამის გრაფაში აკეთებს აღნიშვნას და დამატებით ხელმოწერას, რის საფუძველზეც ადგილზე შეეფარდება ადმინისტრაციული სახდელი. ოქმში, ასევე მიეთითება შეფარდებული ადმინისტრაციული სახდელი (ჯარიმის თანხა). სამართალდამრღვევს ადგილზე შეეფარდება ადმინისტრაციული სახდელი საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 153^7 და 153^8 მუხლებით, 1553 მუხლის პირველი - მე-10 ნაწილებით, 155^5 მუხლით, 155^6 მუხლის პირველი და მე-2 ნაწილებით, 171^5 მუხლის მე-3 და მე-7 ნაწილებით, 177^{14} და 191^1 მუხლებით გათვალისწინებული ადმინისტრაციული სამართალდარღვევების ჩადენის შემთხვევაშიც, თუ ეს სამართალდარღვევები არ საჭიროებს ადმინისტრაციულ გამოკვლევას.“.

2. 82-ე **მუხლის მე-5 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით**:

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

„5. თუ სამართალდამრღვევი ესწრება ოქმის შედგენას და უარს აცხადებს ოქმის ხელმოწერაზე ან/და ჩაბარებაზე, ოქმის შენიშვნის გრაფაში კეთდება შესაბამისი ჩანაწერი. საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 153[7] და 153[8] მუხლებით, 155[3] მუხლის პირველი - მე-10 ნაწილებით, 155[5] მუხლით, 155[6] მუხლის პირველი და მე-2 ნაწილებით, 171[5] მუხლის მე-3 და მე-7 ნაწილებით და 191[1] მუხლით გათვალისწინებული ადმინისტრაციული სამართალდარღვევების შემთხვევაში, თუ ეს სამართალდარღვევები არ საჭიროებს ადმინისტრაციულ გამოკვლევას და სამართალდამრღვევი უარს აცხადებს ოქმის ხელმოწერაზე ან/და ჩაბარებაზე და აღნიშნული დაფიქსირებულია ტექნიკური საშუალებით (ფოტო ან/და ვიდეოგადაღების მეშვეობით), ოქმი ჩაბარებულად ითვლება. საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 177[14] მუხლით გათვალისწინებული ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ადმინისტრაციული გამოკვლევის საჭიროების შემთხვევაში შესაძლებელია ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმი ადგილზე არ შედგეს და სამართალდამრღვევს ჩაბარდეს საქართველოს საგადასახადო კოდექსით დადგენილი წესით. ამ შემთხვევაში ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმზე სამართალდამრღვევის ხელმოწერა სავალდებულო არ არის.“.

მუხლი 2

ეს ბრძანება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საქართველოს ფინანსთა მინისტრი

მამუკა ბახტაძე

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

საქართველოს ფინანსთა მინისტრის

ბრძანება №235

2018 წლის 15 ივნისი, ქ. თბილისი

„ბიუჯეტის შემოსულობების სახაზინო კოდების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2007 წლის 22 ნოემბრის №1226 ბრძანებაში ცვლილების შეტანის შესახებ

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, **ვბრძანებ**:

მუხლი 1

„ბიუჯეტის შემოსულობების სახაზინო კოდების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2007 წლის 22 ნოემბრის №1226 ბრძანებით (სსმ III, 29.11.2007წ., №169, მუხლი 1871) დამტკიცებულ დანართ №2-ში შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილება:

1. ამოღებულ იქნეს შემდეგი ბიუჯეტის განმკარგველები:

176	0787	სსიპ - საქართველოს ეროვნული საინვესტიციო სააგენტო
591	4231	ა (ა) იპ - ქალაქ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერიის კულტურისა და დასვენების პარკი
599	4239	ა (ა) იპ - თვითმმართველი ქალაქი ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ისტორიული მუზეუმი
600	4240	ა (ა) იპ - თვითმმართველი ქალაქი - ქალაქ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ოზურგეთის სერვისცენტრი
659	4299	ააიპ - ქუთაისის ოლიმპიური კომიტეტი
688	4328	ა(ა)იპ – ქალაქ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის კულტურისა და მოსწავლე-ახალგაზრდობის ცენტრი
739	4379	ა(ა)იპ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის კულტურის, სპორტისა და ტურიზმის ცენტრი
743	4383	ა(ა)იპ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის სამუზეუმო-საბიბლიოთეკო გაერთიანება
745	4385	ა(ა)იპ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მუნიციპალური მომსახურების ცენტრი

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

2. ბიუჯეტის განმკარგველი – 1125 – ა(ა)იპ – „სენაკის მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობის, დასუფთავების და გამწვანების მოვლა-პატრონობის ცენტრი“ – ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

1125	4765	ა(ა)იპ სენაკის მუნიციპალიტეტის „საზოგადოებრივი მომსახურების ცენტრი“

3 . ამოღებულ იქნეს შემდეგი ბიუჯეტის განმკარგველები:

1131	4771	ა(ა)იპ სენაკის მუნიციპალიტეტის სასაფლაოების მოვლა- პატრონობის ცენტრი
1341	4981	ა(ა)იპ „ქალაქ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის გაერთიანებული სპორტის განვითარების ცენტრი“

4. ბიუჯეტის განმკარგველის – 1433 – „ქალაქ ბათუმის ა(ა)იპ მუნიციპალური სერვისების სააგენტოს“ შემდეგ დაემატოს შემდეგი შინაარსის ბიუჯეტის განმკარგველები:

1434	5074	ა(ა)იპ „დუშეთის წყალი“
1435	5075	ა(ა)იპ „ოზურგეთის მუნიციპალიტეტის სპორტულ-გამაჯანსაღებელ დაწესებულებათა გაერთიანება“
1436	5076	ა(ა)იპ „ოზურგეთის მუნიციპალიტეტის სამუზეუმო გაერთიანება“
1437	5077	ა(ა)იპ „ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მოსწავლე-ახალგაზრდობის და სარეკრეაციო დაწესებულებათა გაერთიანება“
1438	5078	ა(ა)იპ „ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მომსახურების ცენტრი“

მუხლი 2

ეს ბრძანება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საქართველოს ფინანსთა მინისტრის

მოვალეობის შემსრულებელი

მამუკა ბახტაძე

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

საქართველოს ფინანსთა მინისტრის

ბრძანება №237

2018 წლის 15 ივნისი, ქ. თბილისი

„იმ კრიტერიუმების დამტკიცების თაობაზე, რომლებსაც უნდა აკმაყოფილებდეს წამახალისებელი გათამაშების მოწყობის ნებართვის მაძიებლის მიერ წარდგენილი თამაშობის ზოგადი წესი“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2012 წლის 13 იანვრის №18 ბრძანებაში ცვლილების შეტანის შესახებ

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, **ვბრძანებ**:

მუხლი 1

„იმ კრიტერიუმების დამტკიცების თაობაზე, რომლებსაც უნდა აკმაყოფილებდეს წამახალისებელი გათამაშების მოწყობის ნებართვის მაძიებლის მიერ წარდგენილი თამაშობის ზოგადი წესი“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2012 წლის 13 იანვრის №18 ბრძანებით (ვებგვერდი, 16/01/2012 წ., სარეგისტრაციო კოდი: 190040000.22.033.016306) დამტკიცებული „კრიტერიუმები, რომლებსაც უნდა აკმაყოფილებდეს წამახალისებელი გათამაშების მოწყობის ნებართვის მაძიებლის მიერ წარდგენილი თამაშობის ზოგადი წესი“ შეტანილ იქნეს ცვლილება და ამოღებულ იქნეს მე-2 მუხლის მე-3 პუნქტი.

მუხლი 2

ეს ბრძანება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საქართველოს ფინანსთა მინისტრის

მოვალეობის შემსრულებელი

მამუკა ბახტაძე

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

i n s t r u q c i a

საქართველოს ფინანსთა მინისტრის

ბრძანება №236

2018 წლის 15 ივნისი, ქ. თბილისი

„გადასახადების ადმინისტრირების შესახებ“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2010 წლის 31 დეკემბრის №996 ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, **ვბრძანებ**:

მუხლი 1

„გადასახადების ადმინისტრირების შესახებ“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2010 წლის 31 დეკემბრის №996 ბრძანებით (სსმ, ვებგვერდი, 060111, 03/01/2011, 2000900000.22.033.016112) დამტკიცებულ ინსტრუქციაში განხორციელდეს შემდეგი სახის ცვლილება:

1. 99-ე **მუხლს დაემატოს შემდეგი შინაარსის** მე-9 **პუნქტი**:

„9. მიმდინარე საანგარიშო პერიოდის (კვარტალის) განმავლობაში, ამ ბრძანების 105^1 მუხლით გათვალისწინებულ შემთხვევაში, აზარტული ან/და მომგებიანი თამაშობის მოწყობის ნებართვის მფლობელის უფლებამონაცვლე პირი სარგებლობს მიმდინარე საანგარიშო კვარტალზე გაცემული სათამაშო ბიზნესის მოსაკრებლის გადახდის დამადასტურებელი ნიშნებით.“.

2. 105-ე **მუხლს დაემატოს შემდეგი შინაარსის** 105^1 **მუხლი**:

„105^1. აზარტული ან/და მომგებიანი თამაშობის მოწყობის ნებართვის მფლობელი პირის რეორგანიზაციისას აზარტული ან/და მომგებიანი თამაშობის ნებართვის გადაცემა

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

1. პირის რეორგანიზაციისას, რომელიც ფლობს აზარტული ან/და მომგებიანი თამაშობის მოწყობის ნებართვას, აღნიშნული ნებართვა შესაძლებელია გადაეცეს აზარტული ან/და მომგებიანი თამაშობის მოწყობის ნებართვის მფლობელი პირის უფლებამონაცვლეს, იმ შემთხვევაში თუ იგი აკმაყოფილებს „ლატარიების, აზარტული და მომგებიანი თამაშობების მოწყობის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-7 პუნქტით და სამორინეს მოწყობის ნებართვის შემთხვევაში მე-19 მუხლის პირველი პუნქტის „გ[1]“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ მოთხოვნებს.

2. აზარტული ან/და მომგებიანი თამაშობის მოწყობის ნებართვის მფლობელის უფლებამონაცვლე ვალდებულია, უწყებრივ სანებართვო რეესტრში ცვლილების განხორციელების მიზნით, რეორგანიზაციიდან 2 დღის ვადაში შემოსავლების სამსახურს წარუდგინოს რეორგანიზაციის შესახებ გადაწყვეტილება, რითაც დასტურდება უფლებამონაცვლისთვის აზარტული ან/და მომგებიანი თამაშობის მოწყობის ნებართვის გადაცემა.

3. ამ მუხლით გათვალისწინებულ შემთხვევაში, აზარტული ან/და მომგებიანი თამაშობის მოწყობის სანებართვო მოწმობაში განხორციელდება შესაბამისი ცვლილება.

4. აზარტული ან/და მომგებიანი თამაშობის მოწყობის ნებართვის მფლობელის უფლებამონაცვლე ვალდებულია შეასრულოს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი სანებართვო პირობები.“.

მუხლი 2

ეს ბრძანება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საქართველოს ფინანსთა მინისტრის

მოვალეობის შემსრულებელი

მამუკა ბახტაძე

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

Semosavlebis samsaxuris brZaneba

შემოსავლების სამსახურის უფროსის

ბრძანება №11855

2018 წლის 18 მაისი, ქ. თბილისი

„საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე საქონლის შემოტანასთან/საქართველოს საბაჟო ტერიტორიიდან გატანასთან და დეკლარირებასთან დაკავშირებული პროცედურების განხორციელების თაობაზე“ შემოსავლების სამსახურის უფროსის 2012 წლის 1 აგვისტოს №12858 ბრძანებაში ცვლილების შეტანის შესახებ

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლისა და საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2011 წლის 23 მაისის №303 ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – შემოსავლების სამსახურის დებულების“ მე-3 მუხლის მე-2 პუნქტის „უ“ ქვეპუნქტის საფუძველზე, **ვბრძანებ**:

1. „საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე საქონლის შემოტანასთან/საქართველოს საბაჟო ტერიტორიიდან გატანასთან და დეკლარირებასთან დაკავშირებული პროცედურების განხორციელების თაობაზე“ შემოსავლების სამსახურის უფროსის 2012 წლის 1 აგვისტოს №12858 ბრძანების პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტით დამტკიცებული „დეკლარირების კლასიფიკატორის“ (დანართი №2) „ნაწილი 10. საქონლის გაფორმებისათვის წარსადგენი დოკუმენტებისა და საქონელთან დაკავშირებით სხვა საჭირო ინფორმაციის კლასიფიკატორის“ „450“ კოდის გრაფა ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„450	ავტოსატრანსპორტო საშუალების პერიოდული ტექნიკური ინსპექტირების დადებითი შედეგის დამადასტურებელი დოკუმენტი“.

2. ეს ბრძანება ამოქმედდეს ხელმოწერისთანავე.

შემოსავლების სამსახურის უფროსი

გიორგი თაბუაშვილი

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

saqarTvelos erovnuli banki

ფულადი გზავნილები მაისში

15.06.2018

2018 წლის მაისში ქვეყანაში შემოსული ფულადი გზავნილების ნაკადების მოცულობამ 130.4 მლნ აშშ დოლარი, 320.1 მლნ ლარი შეადგინა, რაც 13.0 პროცენტით (15.0 მლნ აშშ დოლარით) მეტია 2017 წლის მაისის ანალოგიურ მაჩვენებელზე.



უცხოეთიდან საქართველოში ფულადი გზავნილების 93.1 პროცენტი იმ 16 უმსხვილეს დონორ ქვეყანაზე მოდის, საიდანაც ასეთი გზავნილების მოცულობამ მაისში 1 მლნ აშშ დოლარს გადააჭარბა. იმავე 16 ქვეყანაზე გასული წლის მაისში მთელი ფულადი გზავნილების 93.0 პროცენტი მოდიოდა.

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

	ფულადი გზავნილების მოცულობა მაისი, 2018 მლნ აშშ დოლარი	ხვედრითი წილი ფულადი გზავნილების მთლიან მოცულობაში,%	
		მაისი, 2017	მაისი, 2018
სულ	130.4	100.0	100.0
ევროკავშირის ქვეყნები, სულ	44.3	30.3	34.0
მათ შორის:			
იტალია	11.68	10.13	11.99
საბერძნეთი	11.71	10.15	10.20
გერმანია	2.80	2.42	2.68
ესპანეთი	3.07	2.67	2.59
საფრანგეთი	1.16	1.01	1.16
გაერთიანებული სამეფო	1.41	1.22	1.07
პოლონეთი	0.18	0.16	0.98
კვიპროსი	0.51	0.45	0.81
დანარჩენი ქვეყნები, სულ	86.1	69.7	66.0
მათ შორის:			
რუსეთი	37.84	0.73	0.86
აშშ	12.11	10.50	10.75
ისრაელი	9.43	8.17	9.72
თურქეთი	10.02	8.69	7.44
უკრაინა	2.05	1.78	1.90
აზერბაიჯანი	1.35	1.17	1.29
ყაზახეთი	1.14	0.98	1.16
კანადა	0.84	0.73	0.86

2018 წლის მაისში საქართველოდან საზღვარგარეთ 19.6 მლნ აშშ დოლარი (48.2 მლნ ლარი) გადაიგზავნა, ნაცვლად 18.2 მლნ აშშ დოლარისა (44.1 მლნ ლარისა) გასული წლის მაისში.

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

გამოიწერეთ

გადასახადები

მეწარმეების, სამაღასახადო
ინსპექტორების, აუდიტორების,
ბუღალტრებისა და ყველა მაღამხდელის
უნივერსალური სამამიდო ჟურნალი

ჩვენი რეკვიზიტებია:

მიმღები: შპს 'ბიზნეს ინტელექტი"
მიმღების IBAN ანგარიშის
№ GE67TB332136020100005

მიმღების ბანკი: ს.ს „თიბისი" ბანკი
ბანკის კოდი: TBCBGE22

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com



PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com